წალკის მუნიციპალიტეტის განვითარების სტრატეგია

(2026-2037)

2026 წელი

სარჩევი

შესავალი **3**

სიტუაციის ანალიზი **7**

მუნიციპალიტეტის ზოგადი აღწერა 7

დემოგრაფია 9

ძირითადი ეკონომიკური მონაცემები 12

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურა 19

გარემოს დაცვა 20

ჯანდაცვის მომსახურეობის ხელმისაწვდომობა 21

სოციალური მომსახურება 21

განათლება 23

კულტურა და სპორტი 24

მუნიციპალური სერვისები და მმართველობა 26

პრობლემების ხის ანალიზი 27

ხედვა, მიზნები და ამოცამები **30**

პრიორიტეტები, მიზნები და ამოცანები 30

განხორციელება, მონიტორინგი და შეფასება **42**

შესავალი

წალკის მუნიციპალიტეტის 2026–2037 წლების გრძელვადიანი განვითარების სტრატეგიის შემუშავება წარმოადგენს მუნიციპალიტეტის მდგრადი და ინკლუზიური განვითარების უზრუნველყოფისკენ მიმართულ მნიშვნელოვან ნაბიჯს. აღნიშნული დოკუმენტი ეფუძნება ადგილობრივი განვითარების თანამედროვე მიდგომებს და მიზნად ისახავს მუნიციპალიტეტის წინაშე არსებული სოციალური, ეკონომიკური და ინფრასტრუქტურული გამოწვევების სისტემურ და გრძელვადიან გადაწყვეტას.

სტრატეგიის შემუშავების პროცესი განხორციელდა თანამონაწილეობითი მართვის პრინციპებზე დაყრდნობით, რაც უზრუნველყოფდა სხვადასხვა დაინტერესებული მხარის აქტიურ ჩართულობას. პროცესში მონაწილეობდნენ მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების წევრები, ადგილობრივი მოსახლეობა, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, ბიზნეს სექტორი და სხვა შესაბამისი აქტორები. მრავალფორმატიანი სამუშაო შეხვედრების, საჯარო განხილვებისა და კონსულტაციების შედეგად იდენტიფიცირდა მუნიციპალიტეტის განვითარების ძირითადი საჭიროებები, გამოწვევები და შესაძლებლობები. დოკუმენტი შემუშავებულია მტკიცებულებებზე დაფუძნებული დაგეგმვის პრინციპის შესაბამისად და ეფუძნება ოფიციალურ სტატისტიკურ მონაცემებს, დარგობრივ კვლევებსა და ანალიტიკურ მასალებს. რამაც უზრუნველყო სტრატეგიის რეალისტურობა, მიზნობრიობა და შედეგებზე ორიენტირებულობა.

სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა მუნიციპალიტეტის SWOT ანალიზს, რომლის საფუძველზეც გამოიკვეთა ძლიერი და სუსტი მხარეები, ასევე განვითარების შესაძლებლობები და პოტენციური საფრთხეები. აღნიშნულმა ანალიზმა განსაზღვრა სტრატეგიული ხედვის ჩამოყალიბების, პრიორიტეტების განსაზღვრის, მიზნებისა და ამოცანების ფორმირების საფუძველი.

დოკუმენტი წარმოადგენს წალკის მუნიციპალიტეტის განვითარების გრძელვადიან სტრატეგიულ ჩარჩოს, რომელიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის რესურსების ეფექტიან მართვას, სექტორული პოლიტიკის კოორდინაციასა და ადგილობრივი განვითარების თანმიმდევრულ განხორციელებას.

წალკის მუნიციპალიტეტის 2026–2037 წლების გრძელვადიანი განვითარების სტრატეგიული დოკუმენტი შემუშავებულია წალკის მუნიციპალიტეტის მერიის პირველი მოადგილის კოორდინაციით, შესაბამისი უწყებების, სამოქალაქო საზოგადოების და კერძო სექტორის წარმომადგენლების აქტიური ჩართულობით.

სტრატეგიის შემუშავების მიზნით, წალკის მუნიციპალიტეტის მერის ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები, თანამშრომლები, საკრებულოს წევრები, სამოქალაქო საზოგადოებისა და კერძო სექტორის წარმომადგენლები.

დოკუმენტის მომზადების პროცესი წარიმართა ეტაპობრივად და მოიცავდა სამუშაო შეხვედრებს, თემატურ განხილვებსა და კონსულტაციებს. სამუშაო ჯგუფი ახორციელებდა მუნიციპალიტეტში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზს, პრობლემების იდენტიფიცირებასა და განვითარების პოტენციალის შეფასებას. პროცესში აქტიურად მიმდინარეობდა კონსულტაციები სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან, მათ შორის სამოქალაქო, ბიზნეს სექტორთან და დარგის სპეციალისტებთან.

დოკუმენტი შემუშავებულია ფართო თანამონაწილეობის პრინციპის დაცვით, რაც უზრუნველყოფს მის შესაბამისობას ადგილობრივი საზოგადოების საჭიროებებთან, ინტერესებთან და განვითარების პრიორიტეტებთან.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით, ადგილობრივ დონეზე განვითარების პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება წარმოადგენს მუნიციპალიტეტის კომპეტენციას. წალკის მუნიციპალიტეტის სტრატეგიის დოკუმენტის სამართლებრივ საფუძველს სწორედ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ ქმნის, რომლის თანახმად მუნიციპალიტეტის ორგანოები მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებათა განხორციელებისას, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, შეიმუშავებენ, ამტკიცებენ და ახორციელებენ შესაბამის პროგრამებს, სტრატეგიებსა და სამოქმედო გეგმებს .

სტრატეგიის დოკუმენტი და მისი სამოქმედო გეგმა მომზადებულია „მუნიციპალიტეტის განვითარების დაგეგმვის სახელმძღვანელოს დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2022 წლის 15 თებერვლის N264 დადგენილების შესაბამისად, რომელიც შინაარსობრივ და მეთოდოლოგიურ მოთხოვნებს განსაზღვრავს.

სტრატეგიის დოკუმენტის შემუშავებისას გათვალისწინებულია მისი ჰარმონიზაცია შესაბამის ეროვნული და ადგილობრივი დონის დოკუმენტებთან, როგორიცაა:

ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი;

„საქართველოს განვითარების სტრატეგია - ხედვა 2030" - მუნიციპალური პრიორიტეტები ეხმიანება ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური ზრდის, ინფრასტრუქტურული განვითარებისა და სოციალური ინკლუზიის ეროვნულ ამოცანებს;

სტრატეგია შესაბამისობაშია სივრცითი განვითარების დოკუმენტთან, რათა განვითარების სხვადასხვა მიმართულება შესაბამისობაში იყოს დასახლებების სივრცით პრიორიტეტებთან;

სექტორული სტრატეგიები - განათლების, ჯანდაცვის, ინფრასტრუქტურის, გარემოს დაცვისა და სხვა სფეროების სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტები;

გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები (SDGs) - დოკუმენტის თითოეული პრიორიტეტი კავშირშია შესაბამის SDG-სთან, რაც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის განვითარების გლობალურ ჩარჩოსთან შესაბამისობას:

წალკის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებებიდ დაცვის სამოქმედო გეგმა;

წალკის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა;

წალკის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი.

დოკუმენტი წარმოადგენს მუნიციპალიტეტის განვითარების ერთიან ჩარჩოს, რომელიც ქმნის საფუძველს სხვადასხვა სექტორული მიმართულებების ინტეგრირებული და შეთანხმებული განვითარებისათვის, ასევე ხელს უწყობს სახელმწიფო და ადგილობრივი პოლიტიკის ეფექტიან განხორციელებას ადგილობრივ დონეზე.

სტრატეგიის დოკუმენტი შემუშავებულია საჯარო პოლიტიკის დაგეგმვის შემდეგ პრინციპებზე დაყრდნობით:

მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავება - მონაცემებზე, კვლევებსა და ფაქტებზე დაფუძნებული დაგეგმვა;

შედეგებზე ორიენტირებული მართვა - სტრატეგიის მიზნებისა და ამოცანების ქვეშ გათვალისწინებული აქტივობები ხორციელდება შედეგებზე ორიენტირებულად, რომელთა მიღწევაც იზომება ინდიკატორების მეშვეობით;

მთავრობის ერთიანი მიდგომა - ადგილობრივ დონეზე უზრუნველყოფილია სხვადასხვა უწყებათა ერთიანი ხედვა მუნიციპალიტეტის განვითარების სფეროების შესახებ.

ამასთანავე, წარმოდგენილი დოკუმენტის შემუშავება ეფუძნება ისეთ პრინციპებს როგორიცაა კანონიერება, მონაცემებზე დაფუძნებული მართვა, უწყვეტობა, კომპლექსური დაგეგმვა, პასუხისმგებლობათა ზუსტი და მკაფიო განაწილება, პარტნიორობა, მოქალაქეთა თანამონაწილეობა და გამჭირვალობა.

წალკის მუნიციპალიტეტის განვითარების სტრატეგია შემუშავდა ინკლუზიურად და გამჭირვალედ, სამოქალაქო და კერძო სექტორის, ასევე სხვა დაინტერესებული მხარეების ფართო ჩართულობით. განვითარების პრიორიტეტები და მიზნები განისაზღვრა „ქვემოდან ზემოთ“ პრინციპებზე დაყრდნობით, მუნიციპალიტეტის სოციალური და ეკონომიკური საჭიროებების უკეთ გაანალიზებისთვის და თითოეული დასახლების განვითარების პოტენციალის გათვალისწინებით.

სტრატეგიის საბოლოო პროექტის განხილვის მიზნით ასევე გაიმართა საჯარო კონსულტაციები წალკის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში თებერვლის თვეში. გამართული განხილვების შედეგად მიღებული შენიშვნებისა და რეკომენდაციების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია საჯარო კონსულტაციების ანგარიშის დოკუმენტში, ხოლო მათი გათვალისწინებით შესაბამისი ცვლილებები შეტანილია დოკუმენტის საბოლოო ვერსიაში.

წარმოდგენილი სტრატეგიის პირველი ნაწილი ეთმობა წალკის მუნიციპალიტეტის არსებული სიტუაციის სიღრმისეულ ანალიზს, მეორე ნაწილში აღწერილია ამ გამოწვევების დასაძლევად დასახული ხედვა, სექტორული პრიორიტეტები, მიზნები და ამოცანები, ხოლო მომდევნო თავში წარმოდგენილია განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების ჩარჩო.

სიტუაციის ანალიზი

მუნიციპალიტეტის ზოგადი აღწერა

წალკის მუნიციპალიტეტი მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოში, ქვემო ქართლის რეგიონში და გამოირჩევა როგორც უნიკალური ბუნებით, ისე მრავალფეროვანი ისტორიულ-ეთნიკური მემკვიდრეობით. წალკის ტერიტორია უძველესი დროიდან იყო დასახლებული. არქეოლოგიური მასალები მიუთითებს, რომ აქ ადამიანი ჯერ კიდევ ქვის ხანაში ცხოვრობდა. შემდგომ პერიოდში ეს მხარე შედიოდა სხვადასხვა ქართული სამეფოებისა და სამთავროების შემადგენლობაში. XIX საუკუნეში, რუსეთის იმპერიის პერიოდში, წალკის ტერიტორიაზე ჩასახლდნენ ბერძნები (პონტოელები), ასევე სომხები და სხვა ეთნიკური ჯგუფები. ამან მუნიციპალიტეტს მიანიჭა მრავალეთნიკური ხასიათი, რომელიც დღემდე შენარჩუნებულია. საბჭოთა წლებში წალკა ჩამოყალიბდა როგორც სასოფლო-სამეურნეო რეგიონი. აქ ვითარდებოდა მეცხოველეობა და მიწათმოქმედება.

1917 წლამდე ახლანდელი წალკის მუნიციპალიტეტის ტერიტორია შედიოდა თბილისის გუბერნიის ბორჩალოს მაზრაში, 1930 წლიდან ხდება დამოუკიდებელი რაიონი. 1963-1964 წლებში შედიოდა თეთრი წყაროს რაიონში. 1965 წლიდან კვლავ გამოეყო ცალკე რაიონად. საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ (1991 წლიდან), რეგიონში განვითარებული დემოგრაფიული ცვლილებების შედეგად — ბერძნული მოსახლეობის დიდი ნაწილი გადავიდა საბერძნეთში. თუმცა ამავე პერიოდში დაიწყო მოსახლეობის ჩამოსახლება მაღალმთიანი აჭარიდან და სვნეთიდან, რაც დაკავშირებული იყო როგორც სოციალურ-ეკონომიკურ პირობებთან, ასევე ეკომიგრაციის პროცესებთან. აქედან გამომდინარე, წალკა დღემდე რჩება მრავალეთნიკურ მუნიციპალიტეტად.

2006 წლის რეფორმის შემდეგ წალკის რაიონს ოფიციალურად მიენიჭა წალკის მუნიციპალიტეტის სტატუსი.

წალკის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი წალკა. მუნიციპალიტეტს ჩრდილოეთიდან ბორჯომი, გორი და კასპი ესაზღვრება, დასავლეთით ახალქალაქი, სამხრეთით კი - ნინოწმინდა და დმანისი. წალკის ტერიტორია გეომორფოლოგიური თვალსაზრისით მრავალფეროვანია. რაიონის დასავლეთ ნაწილში იჭრება სამსარის ქედი, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შემოდის აგრეთვე ჯავახეთის ქედის ჩრდილოეთ

მონაკვეთი. მნიშვნელოვანი ორთოგრაფიული ერთეულია ასევე წალკის პლატო ქვაბული. წალკის მუნიციპალიტეტს მიეკუთვნება თრიალეთის ქედის სამხრეთი კალთაც. მუნიციპალიტეტი ხშირი ჰიდროგრაფიული ქსელით ხასიათდება. წალკაში მრავლად გვხვდება ტბები. მუნიციპალიტეტში 44 დასახლებული პუნქტია. მათ შორის 1 ქალაქი — წალკა, 3 დაბა - დაბა თრიალეთი, დაბა ბედიანი და დაბა ხრამჰესი.

წალკის მუნიციპალიტეტის ფართობია 1050,6 კმ². წალკის მუნიციპალიტეტის ტერიტორია გეომორფოლოგიური თვალსაზრისით მრავალფეროვანია. პირველი თანრიგის ოროგრაფიული ერთეულებია: სამსრის ქედი, ჯავახეთის ქედი და წალკის ქვაბული.

სამსრის ქედი (ზომები 40X23 კმ) ტერიტორიის დასავლეთ ნაწილში იჭრება. მერიდიანული მიმართულების ქედია, რომელიც აგებულია ნეოგენური და მეოთხეული ანდეზიტის, ანდეზიტ-დაციტის, ბაზალტისა და დოლერიტის ლავებით, ტუფ-ბრექჩიებითა და ტუფებით. ნეოგენური გოდერძის წყება ქმნის ქედის ძირითად ჩონჩხს. მეოთხეული ლავებით კი აგებულია ვულკანური კონუსები, გუმბათები. ქედის მორფოლოგიაში შერწყმულია ტექტონიკური, ვულკანური, ეროზიული, ძველმყინვარული და პერიგლაციალური რელიეფის ფორმები. ქედზე ამართულია მწვერვალი სამსარი (3285 მ), რომელიც ვულკანურ კონუსს წარმოადგენს და ამ კონუსის შიგნით მდებარეობს 3 კმ სიგრძის კალდერა.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შემოდის ასევე ჯავახეთის ვულკანური ქედის ჩრდილოეთ მონაკვეთი. აგებულია უმთავრესად ბაზალტური ან ანდეზიტ-ბაზალტური ლავებით, რომლებსაც ვრცელი ტექტონიკური ძალებით თაღისებურათ ამობურცული განფენები წარმოუქმნია. ქედის რელიეფი შედგება ტექტოგენურ-ვულკანური, ვულკანური და პერიგლაციური ფორმებისაგან. ჯავახეთის ქედზე ამართულია მწვერვალები: დალიდაღი (2661 მ), ბიქეთი (2277 მ), ჭიქიანი (2415 მ) და სხვ. დალიდაღსა და ჭიქიანს შორის მდებარეობს ფარავნის უღელტეხილი (2150 მ).

მსხვილი ოროგრაფიული ერთეულია აგრეთვე წალკის პლატო ქვაბული. ჩრდილოეთიდან შემოზღუდულია თრიალეთის ქედის შუა ნაწილით, დასავლეთით ესაზღვრება სამსრის ქედის ჩრდილოეთ ნაწილი, სამხრეთით საზღვრავს ჯავახეთის ქედი. წალკის პლატო აგებულია ნეოგენური დოლერიტული ლავებითა და ტბიურ-მდინარეული ნალექებით. წალკის პლატოს სიმაღლე ცვალებადობს 1500 მ-იდან 1900 მ-მდე. წალკის პლატო ქვაბული იყოფა პატარა ქვაბულებად (ბეშთაშენის, კიარიაკის, ბარმაქსიზის, ბაშკოვის) და მცირე სიგრძის სერებად (წალკის, ბეშთაშენის, ქარსუს, დაშბაშის).

წალკის სერის ჩრდილოეთ ნაწილში განედური მიმართულებით გაჭიმულია თრიალეთის ძირა დახრილი ალუვიური ვაკე, რომლის ფორმებიც შეპირობებულია თრიალეთის ქედის შუა ნაწილიდან ჩამომავალი პატარა მდინარეების ვულკანური და ტექტონიკური შეგუბებით. თრიალეთის ძირა ვაკე აგებულია პლიოცენ-მეოთხეული რიყნალებითა და ქვიშებით. იგი დაყოფილია ორ ნაწილად: რეხის ქვაბულად და კაბურის ვაკედ.

წალკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარეობს ასევე ჭოჭიანის ლავური პლატო, რომელიც წალკის ქვაბულის სამხრეთ-აღმოსავლური ნაწილისაგან გამოყოფილია დაშბაშის სერით და ძირითადად ვრცელდება მდინარე ხრამის მარჯვენა სანაპიროზე. იგი მხოლოდ თავის ჩრდილო ნაწილში გადადის ხრამის მარცხენა სანაპიროზე. ჭოჭიანის პლატო აგებულია პლეისტოცენური ანდეზიტ-ბაზალტებით. გაკვეთილია ხრამისა და მისი მარჯვენა შენაკადის ჭოჭიანის კანიონისებრი ხეობებით. ხრამისა და ჭოჭიანის ხეობათა ჩაჭრის სიღრმე 300-500 მ-ს აღწევს. ხრამისა და ჭოჭიანის ხეობები თავისი უდაბლესი ფსკერისპირა ნაწილებით გრანიტულ მასივს სჭრიან, კრისტალურ საფუძველზე გადაფარებულია ანდეზიტ-ბაზალტური ლავის ქარაფებში ხელოვნურ და ნახევრად ხელოვნურ გამოქვაბულთა ჯგუფებია (მაგ. ეძანის გამოქვაბული), რომლებსაც წარსულში სამხედრო დანიშნულება ჰქონდათ. სოფელ დაშბაშის კიდეზე არის ღრმა ნაპრალები.

წალკის მუნიციპალიტეტს მიეკუთვნება ასევე თრიალეთის ქედის სამხრეთი კალთა, რომელიც დანაწევრებულია მდინარეებით: ბეშთაშენით, გუმბათის და მათი შენაკადების ხეობებით. აღსანიშნავია ბეშთაშენის, კიარიაკის, ავრანლოს, აშკალის და დაშბაშის ღრმა კანიონები.

დემოგრაფია

წალკის მუნიციპალიტეტში ბოლო წლებში შეინიშნება მოსახლეობის შემცირების მნიშვნელოვანი ტენდენცია, რაც მჭიდროდ არის დაკავშირებული როგორც გარე, ისე შიდა მიგრაციულ პროცესებთან. მოსახლეობის კლებას თან ახლავს ასაკობრივი სტრუქტურის ტრანსფორმაცია და დემოგრაფიული დაბერების პროცესის გაძლიერება, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე.

ცხრილი # მოსახლეპობის რაოდენობის დინამიკა, ათასი კაცი

რეგიონი/მუნიციპალიტეტი	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022	2023	2024	2025	2026	ცვლილება 10 წლიან პერიოდში
წალკის მუნიციპალიტეტი	19.1	19.2	19.3	19.4	19.5	19.7	19.6	20.0	20.0	17.9	17.8	-1.3

წყარო: საქსტატი

საქსტატის მონაცემებით, 2026 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წალკის მუნიციპალიტეტში მოსახლების რაოდენობა 17 800 -ია, რაც რეგიონის მოსახლეობის 4%-ს შეადგენს. ასევე აღსანიშნავია, რომ მოსახლეობის რაოდენობა ბოლო 10 წლის განმავლობაში 1300-ითაა შემცირებული. აღნიშნული კლება წარმოადგენს მაღალ მაჩვენებელს მუნიციპალიტეტის ზომის გათვალისწინებით. თვალსაჩინოა მოსახლეობის შემცირება სასოფლო დასახლებებში, რაც მიუთითებს სივრცით დისბალანსზე და სოფლის დაცლის პროცესის დაჩქარებაზე.

მუნიციპალიტეტში რეგონის მასშტაბით ყველაზე მაღალია ასაკით პენისიონერთა წილი მთლიან მოსახლეობაში - 29%, რაც მიუთითებს მოსახლეობის დაბერების ტენდენიასა და სამუშაო ძალის პოტენციურ დეფიციტზე.

ცრილი # ასაკით პენსიორთა წილი მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში

რეგიონი/მუნიციპალიტეტი	**მოსახლეობა**	**პენსიონერთა რაოდ.**	**წილი მოსახლეობაში**
წალკის მუნიციპალიტეტი	17,807.0	5,236	29%

წყარო: საქსტატი, სოციალური მომსახურების სააგენტო

წალკის მუნიციპალიტეტში ბუნებრივი მატების დინამიკა (2015–2025 წლებში) მკვეთრად გარდამავალი და არასტაბილური ტენდენციით ხასიათდება, სადაც პერიოდის პირველ ნახევარში არსებული დემოგრაფიული ზრდა გამოკვეთილ კლებაში გადადის. 2015 წლიდან 2019 წლის ჩათვლით მუნიციპალიტეტში მყარი დადებითი ბუნებრივი მატება ფიქსირდებოდა, რაც ძირითადად სასოფლო დასახლებების ხარჯზე ხდება, თუმცა, 2020 წლიდან იწყება დემოგრაფიული ვარდნა, ხოლო 2021 წლიდან პროცესი სტაბილურ ბუნებრივ კლებაში გადადის. აღსანიშნავია, რომ სოფლად დემოგრაფიული გაუარესება უფრო თვალსაჩინოა, მაშინ როცა საქალაქო დასახლებაში მაჩვენებლები შედარებით მცირე ამპლიტუდით მერყეობს და დროდადრო პოზიტიურ ნიშნულსაც უბრუნდება, რაც სოფლებიდან ქალაქისკენ შიდა მიგრაციულ პროცესებსა და სოფლების უფრო სწრაფ დემოგრაფიულ დაბერებაზე მიანიშნებს.

ცხრილი: ბუნებრივი მატება საქალაქო-სასოფლო დასახლებების მიხედვით წალკის მუნიციპალიტეტში

	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022	2023	2024	2025
სულ	**80**	**35**	**74**	**77**	**58**	**14**	**-11**	**-3**	**11**	**-19**	**-23**
საქალაქო დასახლება	12	-17	27	19	8	13	5	-1	-3	25	-11
სასოფლო დასახლება	68	52	47	58	50	1	-16	-2	14	-44	-12

წყარო: საქსტატი

მუნიციპალიტეტში მკვეთრად ჭარბობს სასოფლო მოსახლეობა — 78.1% (13,995 კაცი) სოფლად ცხოვრობს, ხოლო საქალაქო დასახლებაზე მხოლოდ 21.9% (3,921 კაცი) მოდის. მთლიან მოსახლეობაში ქალების წილი (51.5%) მცირედით აღემატება კაცებისას (48.5%).

შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის (15-64 წელი) წილი 59.2%-ს (10,607 ადამიანი) შეადგენს. თუმცა, შრომითი რესურსების შიდა სტრუქტურაში ყველაზე მრავალრიცხოვანი სწორედ წინასაპენსიო, 60-64 წლის ჯგუფია (1,472 კაცი), სადაც ქალების რაოდენობა (927) თითქმის ორჯერ აჭარბებს კაცებისას (545). ყველაზე მცირერიცხოვანი კი 20-24 წლის ახალგაზრდების კატეგორიაა (854 კაცი), რაც მიგრაციულ გადინებაზე მიანიშნებს.

მუნიციპალიტეტში ხანდაზმულთა (65+ წელი) წილი შეადგენს 22.8%-ს (4,079 ადამიანი), რაც საგრძნობლად აჭარბებს ბავშვებისა და მოზარდების (0-14 წელი) ხვედრით წილს — 18.1% (3,236

ბავშვი). ეს პროპორცია მიუთითებს, რომ წალკის მუნიციპალიტეტი გამოკვეთილი დემოგრაფიული დაბერების ფაზაშია.

ცხრილი: მოსახლეობის რაოდენობა წალკის მუნიციპალიტეტში ასაკობრივი ჯგუფების, საქალაქო-სასოფლო ტიპის დასახლებების და სქესის მიხედვით, 2024 წლის აღწერა.

	სულ			საქალაქო დასახლება			სასოფლო დასახლება		
	ორივე სქესი	კაცი	ქალი	ორივე სქესი	კაცი	ქალი	ორივე სქესი	კაცი	ქალი
წალკის მუნიციპალიტეტი	**17,916**	**8,687**	**9,229**	**3,921**	**1,839**	**2,082**	**13,995**	**6,848**	**7,147**
0-4	1,004	539	465	248	130	118	756	409	347
5-9	1,134	623	511	260	129	131	874	494	380
10-14	1,098	579	519	263	146	117	835	433	402
15-19	972	560	412	205	105	100	767	455	312
20-24	854	483	371	163	86	77	691	397	294
25-29	1,014	547	467	201	105	96	813	442	371
30-34	1,086	570	516	252	125	127	834	445	389
35-39	1,102	573	529	235	119	116	867	454	413
40-44	1,070	536	534	218	111	107	852	425	427
45-49	1,008	477	531	222	108	114	786	369	417
50-54	1,000	512	488	215	118	97	785	394	391
55-59	1,023	502	521	205	95	110	818	407	411
60-64	1,472	545	927	306	95	211	1,166	450	716

65-69	1,516	641	875	331	134	197	1,185	507	678
70-74	1,100	440	660	263	94	169	837	346	491
75-79	647	259	388	178	73	105	469	186	283
80-84	377	165	212	79	41	38	298	124	174
85+	439	136	303	77	25	52	362	111	251

მიუხედავად იმისა, რომ ემიგრაციისა და იმიგრაციის შესახებ სრულყოფილი ადმინისტრაციული სტატისტიკა მუნიციპალიტეტის დონეზე არ იწარმოება, არსებული დემოგრაფიული მაჩვენებლების ანალიზი მიუთითებს, რომ მოსახლეობის კლებაზე გავლენას ახდენს უარყოფითი მიგრაციული სალდო. ეს მოიცავს როგორც გარე შრომით მიგრაციას (ძირითადად ახალგაზრდებისა და საშუალო ასაკის მოსახლეობის გადინება უცხო ქვეყნებში), ასევე შიდა მიგრაციას, რაც გამოიხატება სოფლების დაცლაში და მოსახლეობის მიგრაციაში ურბანული ცენტრების მიმართულებით. აღნიშნული პროცესები ამცირებს შრომისუნარიან მოსახლეობას სასოფლო დასახლებებში და ასუსტებს ადგილობრივ ეკონომიკური განვითარების პოტენციალს.

ძირითადი ეკონომიკური მონაცემები

წალკის მუნიციპალიტეტის ეკონომიკის ძირითადი სექტორებია სოფლის მეურნეობა, საშენ მასალათა მოპოვება-წარმოება, გადამამუშავებელი მრეწველობა, მომსახურება, ვაჭრობა და ტურიზმი. ტერიტორია მდიდარია მინერალური რესურსებით (ტორფი, პემზა, ბაზალტი, ქვიშა, გრანიტი), რაც ზრდის საინვესტიციო პოტენციალს.

წალკის მუნიციპალიტეტში 667 აქტიური ეკონომიკური სუბიეტი მოქმედებს, 2024 წლის საქსტატის მონაცემებით, რაც რეგიონის მასთაბით ყველაზე დაბალი მონაცემია, აღსანიშნავია, რომ რეგისტრირებულ ბიზნესებს შორის აქტიური საწარმოების წილი 24%-ია, რაც რეგიონულ საშუალო მაჩვენებლებთან თანხვედრაშია. ბაზარზე დინამიკას ინარჩუნებს ახლადრეგისტრირებული ეკონომიკური სუბიექტების რაოდენობაც. ყოველ 1,000 მოსახლეზე

წალკაში მოდის 37 ეკონომიკური სუბიექტი, რაც საშუალო დონის სამეწარმეო აქტივობაზე მიუთითებს.

წალკის მუნიციპალიტეტის ბიზნეს სექტორში დაქირავებით დასაქმებულია ათასამდე კაცი (2024 წ). ეს მაჩვენებელი რეგიონის მასშტაბით საკმაოდ მცირეა, თუმცა აღემატება მეზობელი დმანისისა და თეთრიწყაროს მონაცემებს. მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სიმცირის გათვალისწინებით, ეს დასაქმების ადგილობრივი ბაზრისთვის სტაბილური, თუმცა მაინც მცირე მაჩვენებელია. მარნეულის შემდეგ, ყველაზე დაბალია საშუალო ხელფასის მაჩვენებელიც, წალკის მუნიციპალიტეტში ეს მაჩვენებელი -1027 ლარია.

ცხრილი. ბიზნეს-სექტორის ძირითადი მაჩვენებლები

	წალკა
დასაქმებულთა რაოდენობა-ბიზნეს სექტორში (ათასი კაცი)	1
დასაქმებულთა საშუალოთვიური ხელფასი-ბიზნეს სექტორში (ლარი)	1027
რეგისტრირებული ეკონომიკური სუბიექტების რაოდენობა (ერთეული)	2743
მოქმედი ეკონომიკური სუბიექტების რაოდენობა (ერთეული)	667
ატიურ საწარმოთა წილი რეგისტირებულშო	24%
ახლადრეგისტრირებული ეკონომიკური სუბიექტების რაოდენობა (ერთეული)	366
მოსახლეობის რიცხოვნობა (ათასი) 1.01.26	18
ეკონომიკური სუბიექტები 1000 მოსახლეზე	37

წალკის მუნიციპალიტეტში პროდუქციის გამოშვებისა და ბრუნვის მაჩვენებლები 2020 წლიდან სტაბილური ზრდის ტენდენციით ხასიათდება, თუმცა 2024 წელს გარკვეული კორექტირება შეინიშნება.

გამოშვებული პროდუქცია: 2020 წელთან შედარებით (43 მლნ ლარი), 2024 წლისთვის გამოშვება გაორმაგდა და 88 მლნ ლარს მიაღწია. 2023-2024 წლებში ზრდამ 7.3% შეადგინა, აღნიშნული კი ადგილობრივი წარმოების მიმართულებით პოზიტიური ტენდენციაა.

ბრუნვის მაჩვენებელმა პიკს 2023 წელს მიაღწია (132 მლნ ლარი), ხოლო 2024 წელს მცირედით, 124 მლნ ლარამდე შემცირდა. მიუხედავად ამისა, 4-წლიან ჭრილში ბრუნვის ზრდა მნიშვნელოვანია (+82%).

მუნიციპალიტეტის წილი ქვემო ქართლის ეკონომიკაში (როგორც გამოშვებით, ისე ბრუნვით) მხოლოდ 1.4%-ია. ეს მიუთითებს , რომ წალკა მცირე ეკონომიკის მქონე მუნიციპალიტეტია რეგიონულ კონტექსტში და არსებობს ბიზნეს სექტორის მეტად გააქტიურებისა და გაძლიერების საჭიროება.

საყურადღებოა, ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში მონაცემები. მუნიციპალიტეტში ინვესტიციებმა ყველაზე მაღალ ნიშნულს 2021 წელს მიაღწია (17 მლნ ლარი), რის შემდეგაც მუდმივი კლების ტენდენციაა. 2024 წელს ინვესტიციებმა მხოლოდ 6 მლნ ლარი შეადგინა (რეგიონის მთლიანი ინვესტიციების 1.7%). ფიქსირებულ აქტივებში ინვესტიციების შემცირება გრძელვადიან პერსპექტივაში ზღუდავს ბიზნესის გაფართოებისა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვის შესაძლებლობებს. შესაბამისად, აუცილებლია, ახალი საინვესტიციო მიმართულებების იდენტიფიცირება და ღონისძიებების გახორციელება ინვესტიციების მოსაზიდად.

მუნიციპალიტეტის ეკონომიკის შემდგომი განვითარებისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია საინვესტიციო მიმზიდველობის გაზრდა (მათ შორის, პროდუქტიულობის გაზრდა სოფლის მეურნეობაში, აგრო ტურიზმის, განახლებადი ენერგიის, გადამამუშავებელი მრეწველობის მიმართულებით), რაც ხელს შეუწყობს ფიქსირებულ აქტივებში კაპიტალის მოდინებას და უფრო მაღალანაზღაურებადი სამუშაო ადგილების შექმნას.

ცხრილი: ეკონომიკური აქტივობის დინამიკა

ინდიკატორი	2020	2021	2022	2023	2024	ქვემო ქართლი 2024	რეგ.წილი
გამოშვებული პროდუქცია, მლნ ლარი	43	67	66	82	88	6,111	1.4%
ბრუნვა, მლნ ლარი	68	91	97	132	124	8,827	1.4%
საქონლისა და მომსახურების ყიდვები, მლნ ლარი	45	55	65	100	74	6,579	1.1%
ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში, მლნ ლარი	1	17	11	9	6	325	1.7%
დაქირავებულთა რაოდენობა, ერთეული	540	700	515	1,040	913	44,434	2.1%
საშუალო თვიური ხელფასი, ლარი	891	984	1,051	837	1,027	1,693	

სოფლის მეურნეობა

მუნიციპალიტეტის მთლიანი ფართობია 1050,6 კმ², საიდანაც სასოფლო სამეურნეო დანიშნულებისაა 70424 ჰა. მათ შორის კერძო საკუთრებაშია 31 292 ჰა. ხოლო სახელმწიფოსა და მუნიციპალიტეტის საკუთრებაშია 39132 ჰა. დანიშნულების მიხედვით მიწების გამოყენება შემდეგნაირად ხდება: საძოვარი 25549 ჰა, სათიბი - 6674 ჰა, სახნავი - 18528 ჰა . ფართობების 13% (6674 ჰა) კი სათიბად არის გამოყენებული. სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია მოსახლეობის 80–85%, მუნიციპალიტეტში არსებული 70424 ჰა სასოფლო-სამეურნეო მიწიდან 9 064,27 ჰა იჯარით გაცემულია. აღებულია ინფორმაცია მუნიციპალიტეტის მერიის ანგარიშიდან

აგრარული დარგებიდან გამოირჩევა მეცხოველეობა, მეფუტკრეობა, მეცხვარეობა, მეკარტოფილეობა და მემარცვლეობა. შესაძლებელია კარტოფილის, რძისა და ხორცის გადამამუშავებელი საწარმოების, სასაკლაოების და მატყლის დამამზადებელი საწარმოების შექმნა.

საწარმოო დანიშნულებით გამოიყენება მეცხოველეობის პროდუქცია ხორცი, ყველი, რძე, მატყლი. განვითარებულია, როგორც მსხვილფეხა, ასევე წვრილფეხა პირუტყვის წარმოება, 2014 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერიდან 5321 ფერმერული მეურნეობაა, აქედან 5306 საოჯახო ინდივიდუალური ფერმერია, ხოლო 15 არის იურდიული პირის ფერმა, წამყვანი დარგი მეცხოველეობაა. შედარებით ნაკლები სარეალიზაციო დანიშნულება გააჩნია ფრინველს, კვერცხს და ხორცს. პროდუქციის რეალიზაცია ძირითადად თბილისის და ბათუმის ბაზარზე ხდება, რომელიც ქვეყნის მასშტაბით საკვანძო ბაზარს წარმოადგენს. რადგან მუნიციპალიტეტში განვითარებულია მესაქონლეობა შესაძლებელია შეიქმნას რძის მიმღები და გადამამუშავებელი ქარხნები, ასევე საქონლის სასაკლაო მეურნეობა. ერთ-ერთი განვითარებული დარგია მეცხვარეობაც. შესაძლებელია შეიქმნას მატყლის დამამზადებელი-გადამამუშავებელი საამქრო. საზაფხულო საძოვრებზე დიდი რაოდენობით შემოედინება ცხვარი და საქონელი მომთაბარე მოსახლეობის მიერ სხვა რეგიონებიდან.

მუნიციპალიტეტს აქვს რესურსი, რომ მეცხოველეობა უფრო განავითაროს, თუმცა ვეტერინალური მომსახურეობის დეფიციტი და დაბალპროდუქტიული პირუტყვი გარკვეულწილად აფერხებს პროგრესს.

მუნიციპალიტეტში არ არსებობს მექანიზაციის მომსახურების ცენტრი, რომელიც მომსახურეობას გაუწევს ყველას ვინც სასოფლო-სამეურნეო საქმიანობითაა დაკავებული, კერძო მეურნეობის ტრაქტორების რაოდენობა სამუშაოების პიკის დროს არასაკმარისია, ამავდროულად მომსახურეობის მაღალი ფასი მოსახლეობისათვის ხელმიუწვდომელს ხდის ამ მომსახურეობას, ასევე არსებული ტექნიკური ბაზა საჭიროებს განახლება/გაძლიერებას.

არსებული სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს წალკის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახური კონსულტაციებს უწევს ყველა დაინტერესებულ პირს მათთვის საინტერესო და საჭირო საკითხებზე, როგორც მემინდვრეობაში, მეცხოველეობაში და მეფუტკრეობაში, აგრეთვე ინფორმაციას აწვლის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მთავრობის მიერ განხორციელებულ/განსახორციელებელ პროგრამებსა და პროექტებზე. კონსულტაციებს უწევს როგორც ადგილზე (ოფისში), ასევე სოფლებში გასვლით და მოსახლეობასთან შეხვედრებზე.

შემნახველი და გადამამუშავებელი საწარმოების შექმნის ხელშეწყობით შესაძლებელი გახდება, მუნიციპალიტეტში წარმოებული პროდუქცია ადგილზე გადამუშავდეს და სასაქონლო სახით მიეწოდოს ბაზარს, ეს კი ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობაში დამატებითი თანხების მოზიდვას.

მუნიციპალიტეტის აგრარული სექტორის განვითარების ერთ-ერთი შემაფერხებელი მიზეზი საირიგაციო სისტემების არასრულყოფილი მუშაობაა, რომელსაც სრული რეაბილიტაციის და დატვირთვის შემთხვევაში შეუძლია გაასარწყავიანოს სახნავ-სათესი დანიშნულების მიწების ძირითადი ფართობი.

საერთო ჯამში, სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების მიზნით, მნიშვნელოვანია, ამ სფეროში არსებული პრობლემების და გამოწვევების დაძლევა, კერძოდ: ნაკვეთების გამოყენების დაბალი კოეფიციენტი, რაც ერთის მხრივ გამოწვეულია საირიგაციო სისტემის არაეფექტურობით და ტექნიკაზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობით, ხოლო მეორეს მხრივ ხარისხიანი სარგავ სათესლე მასალის და შხამ ქიმიკატების დეფიციტის გამო. საირიგაციო სისტემის სრული რეაბილიტაციით შესაძლებელი გახდება სახნავი ფართობების მნიშვნელოვანი ნაწილის გასარწყავიანება, რაც შეამცირებს გამოუყენებელი ფართობების რაოდენობას და გაზრდის პროდუქტიულობას. პირველადი წარმოების გადამამუშავებელი საწარმოების სიმცირე, რომელიც ვერ უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტში წარმოებული ნედლეულის სრულად ათვისება გადამუშავებას, პროდუქციის დიდი ნაწილი ნედლეულის სახით გაედინება მუნიციპალიტეტიდან და გადამუშავდება სხვა რეგიონებში. სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგების გადამამუშავებელი საწარმოების შექმნის სტიმულირება სერიოზული წინსვლა იქნება მუნიციპალიტეტისათვის. იგი ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბებას (მემინდვრეობა-მეცხოველეობა-მეღორეობა-მეფრინველეობა), რომელიც საბოლოო ჯამში შეამცირებს წარმოებული პროდუქციის თვითღირებულებას და გაზრდის რაოდენობას. ვეტერინალური მომსახურეობის პრობლემები თავს იჩენს მეცხოველეობის პროდუქციის რაოდენობასა და ხარისხში, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს დარგის განვითარებას. სოფლის მეურნეობაში დასაქმებული მოსახლეობის ცოდნის არასაკმარისი დონე თითქმის ყველა დარგში იწვევს მნიშვნელოვანი

აგროტექნიკური ღონისძიებების უგულებელყოფას მათი მხრიდან, რაც უარყოფითად აისახება დარგის რენტაბელობაზე და ხშირ შემთხვევებში მიღებული პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი დანახარჯების ტოლფასია. ადგილობრივი კადრების გადამზადება სოფლის მეურნეობის სხვადასხვა სფეროებში და ფერმერების დონეზე ექსტენციური მომსახურეობის ეფექტური მექანიზმის დანერგვა ხელს შეუწყობს მოსახლეობაში ცოდნის დონის ამაღლებას, რის შედეგადაც უზრუნველყოფილი იქნება არსებული დარგების სრული აგროტექნიკური ციკლის შენარჩუნება პირველადი წარმოებიდან საბოლოო პროდუქტამდე, რაც საბოლოო ჯამში უზრუნველყოფს წარმოებული პროდუქციის გაზრდილ რაოდენობას და ხარისხს.

ეკონომიკის განვითარებას ხელს უწყობს სხვადასხვა გარემოება, რომელთაგან მნიშვნელოვანია, რომ შეიქმნა სასოფლო სამეურნეო კოოპერატივები, ამოქმედდა მთის განვითარების კანონი, მუდმივად იქმნება დროებითი სამუშაო ადგილები. ინფრასტრუქტურულ და სოფლის მხარდამჭერი პროგრამით განხორციელებული პროექტებზე ძირითადად დასაქმებულია ადგილობრივი მოსახლეობა.

გამოწვევები: ვეტერინარული მომსახურების დეფიციტი, დაბალპროდუქტიული პირუტყვი, სარწყავი სისტემების ნაკლებობა, საკონსულტაციო სერვისების დეფიციტი, გადამამუშავებელი საწარმოების სიმცირე.

მომავალი შესაძლებლობები: აგრო, ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის განვითარება, მწვანე ენერგეტიკის გამოყენება, მეცხოველეობის გაფართოება.

ტურიზმი

ეკონომიკური განვითარების მიზნით მნიშვნელოვანია ტურიზმის განვითარება. წალკის მუნიციპალიტეტი ლამაზი ბუნებითა და ისტორიულ-კულტურული ძეგლების სიმრავლით გამოირჩევა. განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს წალკის (დაშბაშის) კანიონი და მისი ულამაზესი ჩანჩქერები. კანიონი ულამაზეს სანახაობას ქმნის როგორც ზაფხულში, სიმწვანეში ჩაფლული, ასევე ზამთარში, როცა ჩანჩქერები იყინება. წალკის (დაშბაშის) კანიონი რეგიონში ჩამოსული ტურისტებისა და ვიზიტორებისათვის მუნიციპალიტეტის შთამბეჭდავ ბუნებრივ ღირსშესანიშნაობას წარმოადგენს, რომელიც 2021 წლიდან მასზე მოწყობილი თანამედროვე ინფრასტრუქტირით და ე.წ. „ბრილიანტის ხიდით“ მსოფლიოში ცნობილი ტურისტული ადგილი გახდა.

მოგზაურები ხშირად სტუმრობენ ასევე წალკის წყალსაცავსა და ბარეთის ტბას. გარდა ბუნების მრავალფეროვნებისა წალკაში მრავალი სხვადასხვა პერიოდის კულტურული ძეგლებიც გვხვდება. მნიშვნელოვანი ძეგლებია: დაშბაშის წმ. გიორგის სახელობის, აიაზმის ღვთისმშობლის სახელობის, თეჯისის წმ. კონსტანტინეს ეკლესია მენჰირითა და მეგალითური გალავნით, დაშბაშის ღვთისმშობლის ეკლესია, აი-ილიას ციკლოპური

ნამოსახლარი, პატარა ხრამის პეტროგლიფები და მრავალი სხვა. მუნიციპალიტეტში მდებარე ისტორიული ძეგლები, რომლებიც ადამიანის განვითარების თითქმის ყველა ეტაპს მოიცავენ, ქვის ხანიდან შუასაუკუნეებამდე, საქართველოს ისტორიული წარსულის ნათელ სურათს ქმნიან.

კულტურულ-ისტორიული და ბუნების ლანდშაფტური ღირსშესანიშნაობებით მდიდარი წალკის მხარე, შეიძლება ითქვას რომ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, პოტენციურად მზარდი, ტურისტული ზონაა საქართველოში.

აღსანიშნავია ის, რომ წალკის მუნიციპალიტეტის დაბა თრიალეთში არსებობს გერმანელების ნაკვალევიც. აღნიშნული დასახლების ძველი სახელწოდება „ალექსანდერსჰილფი“ დაფიქსირებულია 1898 წლის რუსეთის ერთვერსიან რუკაზე „Александерсгильфъ“ (ალექსანდერსგილფ) სახით. XIX ს-ის პირველ ნახევარში აქ გერმანელი კოლონისტები დასახლდნენ, რომლებიც აქ XX საუკუნის 60-იან წლებამდე ცხოვრობდნენ. 1944 წელს მიენიჭა დაბის სტატუსი. ამ პერიოდში მას როზენბერგი ერქვა, შემდეგ — მოლოტოვი. დაბა თრიალეთში განთავსებულია კათოლიკური ეკლესია, რომელიც 1906 წლით დათარიღებული გერმანული ტაძარია. ნაგებობა გოთური სტილისაა და აგებულია რუხი ფერის ბაზალტის კარგად თლილი ქვებით. ინტერიერში წყობა უხეშად დამუშავებული ფლეთილი ქვისაა რადგან შესალესად იყო გათვალისწინებული. სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ წაგრძელებულ მოზრდილ ნაგებობას სამხრეთის მხრიდან კარიბჭე აქვს სამსართულიანი, ოთხწახნაგა, ფანჩატურიანი სამრეკლოთი. ეკლესიის ფასადები პილასტრებით არის დასახსრული, რომელთა შორის თაღოვანი სარკმლებია გაჭრილი. სამხრეთის ფასადის თხელ ერკერში მოქცეული თაღოვანი შესასვლელის ტიმპანი ფერადი ვიტრაჟითაა დეკორირებული, თაღი კი - ორმაგი თავსართითა და ჯვრის რელიეფური გამოსახულებით. შესასვლელის წინ ხუთსაფეხურიანი ქვის კიბეა. კარიბჭის მესამე სართული, რომელიც სამრეკლოს წარმოადგენს, სამ წახნაგზე შეწყვილებული თაღოვანი სარკმლებით და მათ შორის დატანილი წრიული ღიობებითაა მორთული. ჩრდილოეთის ფასადის მხრიდან შვერილ სამწახნაგა აფსიდში სამი თაღოვანი სარკმელია და მრუდწრეთარგიანი შესასვლელი. ფასადებს პროფილირებული ლავგარდანი ევლება.

განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა ავრანლოს ციკლოპური ციხე და კანიონი, რომელსაც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს წალკის მუნიციპალიტეტის ტურისტულ პოტენციალში და წარმოადგენს საქართველოს უძველესი ისტორიის ნიმუშს.

ავრანლოს კანიონზე მიზანშეწონილია ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა რაც ხელს შეუწყობს კანიონის პოპულარიზაციას, უფრო მიმზიდველი გახდება ვიზიტორებისთვის, დასაქმდება ადგილობრივი მოსახლეობა, განვითარდება ტურისტული სერვისები.

აღნიშნული ლოკაციის განვითარებისათვის საჭიროა:

- ✓ კანიონის ერთი მხრიდან მეორე მხარეს გადასასვლელი ჩაკიდული საფეხმავლო ხიდის მოწყობა
- ✓ კანიონის მთავარ შესასვლელ პუნქტამდე დასაბრუნებელი საფეხმავლო ბილიკის მოწყობა
- ✓ საფეხმავლო ბილიკის გასწვრივ არანაკლებ 4 ერთეული კანიონზე გადასახედის მოწყობა
- ✓ ფანჩატურების მოწყობა
- ✓ სველი წერტილების მოწყობა
- ✓ მოსასვენებელი სკამების განთავსება
- ✓ პარკინგის მოწყობა
- ✓ გარე განათების მოწყობა.

მიუხედავად დიდი ტურისტული პოტენციალისა, მუნიციპალიტეტში არ განხორციელებულა ტურისტული მარშუტებისა და ობიოექტების მარკირების პროცესი და ტურიზმის განვითარებისათვის შესაბამისი ინფრასტრუქტურაის მოწყობა. ძეგლთა უმრავლესობა საჭიროებს მოკვლევას, შესწავლას და შემდგომ დაკონსერვება/რესტავრირებას.

მუნიციპალიტეტის მასშტაბით სულ ფუნქციონირებს 8 კვების ობიექტი (კაფე-რესტორანი), აქედან 7 მდებარეობს ქალაქ წალკაში. 9 ბენზოგასამართი სადგურია. 11 განთავსების ობიექტი, აქედან ხუთი საოჯახო ტიპის სასტუმროა.

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურა

წალკის მუნიციპალიტეტის სოფლებში მისასვლელი საავტომობილო გზების 65% მოწყობილია ასფალტო ბეტონის საფარით. ხოლო ქ. წალკის შიდა გზების 50% რეაბილიტირებულია. ასევე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადის შიდა სახელმწიფო მნიშვნელობის გზები: კოდა-ფარცხისი-წალკა-ნინოწმინდის დამაკავშირებელი გზა და მარნეული თეთრიწყარო წალკის დამაკავშირებელი გზა.

წალკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასმელი წყლის მომარაგების სისტემაში საერთო ჯამში არის 55 დიდი და პატარა სათავე ნაგებობა, ყველა მათგანი ფუნქციონირებს და დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია. სასმელი წყალი ყველა დასახლებულ პუნქტს მიეწოდება. დღესდღეობით მუნიციპალიტეტში გამოწვევად რჩება 24 საათანი სასმელი წყლის ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტის გარკვეულ სოფლებში.

ელექტროენერგია მიეწოდება ყველა სოფელს და მოსახლეობას ამ მხრივ პრობლემა ნაკლებად აქვთ. ასევე თითქმის დასრულებულია 44-ივე დასახლებულ პუნქტში გარე განათება.

რაც შეეხება გაზიფიცირებას 44 დასახლებულ პუნქტიდან ბუნებრივი აირი მიეწოდება 22 სოფელს და 22 სოფელს არ მიეწოდება.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოწყობილია 33 მინი სტადიონი 10 სკვერი. აქედან ქ. წალკაში მოწყობილია 3 მინი მოედანი და ერთი სტადიონი.

აღნიშნული ინფორმაცია აღებულია მუნიციპალიტეტის ანგარიშით.

გარემოს დაცვა

წალკის მუნიციპალიტეტის 5-7% დაფარულია ტყის საფარით, რომლის ძირითად ნაწილს წარმოადგენს ხელოვნურად გაშენებული წიწვოვანი ნარგავები. 15 ჰა-მდე მიწის ფართობზე გაშენებულია ქარსაცავი ზოლები.

წალკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ტყეებში ბინადრობენ დაცულ სახეობატა სიაში ე.წ. წითელ ნუსხაში შეტანილი ცხოველები.

ქ. წალკის დიდი ნაწილი ამ დროისათვის არ არის ცენტრალური საკანალიზაციო სისტემით უზრუნველყოფილი და მოსახლეობის ნაწილი კუსტარულად მოწყობილი საკანალიზაციო ჭებით სარგებლობს, ხოლო არსებული საკანალიზაციო სისტემა ათწლეულების განმავლობაში არ გაწმენდილა და არ ჩატარებია რეაბილიტაცია, რამაც მოახდინა სისტემის გამტარუნარიანობიის სრული დახშობა, შესაბამისად საკანალიზაციო ჭები გავსებულია ფეკალური მასებით, რომელიც გადმოედინება ქუჩებში, წალკის მუნიციპალიტეტს არ გააჩნია საკანალიზაციო კოლექტორები, არ არსებობს წყალგამწმენდი, შესაბამისად ჩამდინარე წყლები გაუწმენდავად ჩაედინება მდინარეებში. რაც იწვევს სანიტარულ რისკებს, დისკომფორტს, არასასიამოვნო სუნს, ამასთანავე საფრთხეს უქმნის გარშემომყოფთა ჯანმრთელობას, ეკოლოგიური გარემოს უსაფრთხოებასა და ტურიზმის განვითარებას.

წალკის მუნიციპალიტეტში აქტიურად მიმდინარეობს ინფრასტრუქტურული პროექტები. მუნიციპალიტეტი ყოველწლიურად ვითარდება და იზრდება ტურისტული პოტენციალი. განსაკუთრებით წალკის (დაშბაშის) კანიონზე განხორციელებული ტურისტული ინფრასტრუქტურის შექმნის შემდეგ გაიზარდა მოსახლეობისა და ტურისტების რაოდენობა, რაც ძველ და პრობლემურ საკანლიზაციო სისტემაზე დიდ დაწოლას ახდენს, შესაბამისად კრიტიკულად მძიმედ დგას ავარიული, გაუმტარი და ფილტრაციის გარეშე დარჩენილი საკანლიზაციო სისტემის პრობლემა.

ნარჩენების შეგროვება/გატანა/განთავსებას ახორციელებს ა(ა)იპ „წალკის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და წყალმომარაგების სამსახური“. ნარჩენების საბოლოო განთავსება ხდება ქ.მარნეულის მიმდებარე ტერიტორიაზე (გამოყოფილია ტერიტორია ნარჩენების განსათავსებლად რომელსაც ოპერირებს შპს ,,მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“). დასუფთავების სამსახური ემსახურება წალკის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 65%-

ს. საყოფაცხოვრებო ნარჩენების შესაგროვებლად და გასატანად ა(ა)იპ „წალკის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და წყალმომარაგების სამსახურს“ ყავს ერთი 7 $მ^3$-იანი, ორი 18 $მ^3$-იანი და ერთი 10 $მ^3$-იანი სპეციალური სატრანსპორტო საშუალება.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვების მიზნით განთავსებულია 846 პლასტმასის და 34 ლითონის კონტეინერი. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არ ხდება საყოფაცხოვრებო ნარჩენების დახარისხება.

ჯანდაცვის მომსახურეობის ხელმისაწვდომობა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. წალკის მუნიციპალიტეტში მოქმედებს ერთი საავადმყოფო შპს ,,რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის წალკის სამედიცინო დაწესებულება“, რომელსაც ერთდროულად შეუძლია 15 პაციენტის მიღება. აღნიშნულ სამედიცინო დაწესებულებაში დასაქმებულია 24 ექიმი და 14 ექთანი. წალკის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მხოლოდ 14 ამბულატორია ფუნქციონირებს, რაც ვერ უზრუველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის დროული და სრულფასოვანი სამედიცინო დახმარების გაწევას. პაციენტების გადაყვანა ხდება მეზობელ მუნიციპალიტეტებსა და ქალაქებში. ქ. წალკაში ფუნქციონირებს სსიპ ,,საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის წალკის მუნიციპალური სამსახური“, რომელშიც დასაქმებულია - 12 ექიმი, 12 ექთანი, 12 მძღოლი, 1 დამლაგებელი და ჰყავთ სამი სპეციალური სამედიცინო სატრანსპორტო საშუალება.

სოციალური მომსახურება

მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში გასცემს სხვადასხვა საჭიროებების მქონე პირთათვის ფულად და არაფულად სოციალურ დახმარებას. კერძოდ:

- დედ-მამით ობოლი ბავშვებისადმი დახმარება;
- 2008 წლის აგვისტოს საომარი მოქმედებების შედეგად დაღუპულთა ოჯახებისადმი დახმარება;
- ხანდაზმულ (90 და მეტი წლის ასაკი) პირთა დახმარება;
- სოციალურად დაუცველი ოჯახების (სარეიტინგო ქულით 65000-დან 90000-მდე) დახმარება;
- სტიქიური მოვლენების ან/და ხანძრის შედეგად უსახლკაროდ ან მძიმე საცხოვრებელ პირობებში დარჩენილი ოჯახებისადმი დახმარება;
- მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება;

- მარჩენალდაკარგული ოჯახების სოციალური დახმარება;
- მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირების და 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარება;
- იძულებით გადაადგილებულ პირთა, ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა, მარტოხელა მოქალაქეთა და სოციალურად დაუცველთა დაკრძალვასთან დაკავშირებული სარიტუალო მომსახურების დაფინანსება;
- თირკმლის ჩანაცვლების (დიალეზი) თერაპიაზე მყოფი მოქალაქეების ფულადი დახმარება;
- სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე (სარეიტინგო ქულით 100000-მდე) პირის მიერ საჯარო სკოლის წარჩინებით (ოქროს ან ვერცხლის მედლის კანდიდატი) დამთავრების შემთხვევაში ერთჯერადი ფულადი დახმარება;
- ძალადობის მსხვერპლთა, პენიტენციური დაწესებულებიდან ახლადგამოსულ, ოჯახის მხარდაჭერის გარეშე დარჩენილ პირთა და რეინტეგრირებულ ბავშვთა ოჯახების დახმარება;
- მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირთა დახმარება (არასრულწლოვანი შვილის/შვილების ყოლის შემთხვევაში).
- მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და ფაქტობრივად მცხოვრები მოქალაქეების, არასრულწლოვანი ბავშვების, აგრეთვე იძულებით გადაადგილებული ოჯახების გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების (ოპერაცია) დაფინანსება, რომლებიც ნაწილობრივ ფინანსდებიან ან არ ფინანსდებიან სახელმწიფო პროგრამით ან/და სამედიცინო პოლისით;
- ძვირადღირებული მედიკამენტების დაფინანსება, რომლებიც ნაწილობრივ ფინანსდება ან არ ფინანსდება სახელმწიფო პროგრამით ან/და სამედიცინო პოლისით.;
- კომპიუტერული ტომოგრაფია, რომელიც ნაწილობრივ ფინანსდება ან არ ფინანსდება სახელმწიფო პროგრამით ან/და სამედიცინო პოლისით;
- მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია, რომელიც ნაწილობრივ ფინანსდება ან არ ფინანსდება სახელმწიფო პროგრამით ან/და სამედიცინო პოლისით;
- კორონაროგრაფია, რომელიც ნაწილობრივ ფინანსდება ან არ ფინანსდება სახელმწიფო პროგრამით ან/და სამედიცინო პოლისით;
- ბიოფსია, რომელიც ნაწილობრივ ფინანსდება ან არ ფინანსდება სახელმწიფო პროგრამით ან/და სამედიცინო პოლისით;
- პოზიტრონ-ემისიური ტომოგრაფია (PET/CT), რომელიც ნაწილობრივ ფინანსდება ან არ ფინანსდება სახელმწიფო პროგრამით ან/და სამედიცინო პოლისით;
- დედით ან მამით ობოლ ბავშვთა სკოლაში პანსიონური მომსახურება.

ქ.წალკაში 2026 წელს ფუნქციონირებას დაიწყებს სოციალური რეაბილიტაციის და ბავშვთა ზრუნვის ცენტრი სხვადასხვა ქვეპროგრამებით:

1.ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაცია
2.ბავშვთა ადრეული განვითარების შელშეწყობა
3. 0-18 წ ასაკის შშმ ბავშვების დღის ცენტრის მომსახურება
4. 18 და მეტის ასაკის შშმ პირების დღის ცენტრის მომსახურება
5. შშმ ზრდასრულთა რეაბილიტაცია.

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 30.01.2026წ №119.119260303 განკარგულებით დამტკიცებულია ,,წალკის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის სამოქმედო გეგმა“.

ტრანსპორტი

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქალაქეთა სატრანსპორტო გადაადგილებას უზრუნველყოფს ოთხი მუნიციპალური ავტობუსი და ერთი მიკროავტობუსი, რომელთა მოძრაობის განრიგის ადმინისტრირებას ახორციელებს შპს „წალკის მუნიციპალიტეტის ავტოსერვისი“.

განათლება

სკოლამდელი აღზრდა-განათლება

წალკის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 8 სტანდარტებთან შესაბამისი საბავშვო ბაღი. აქედან რვავე არის სრულად რეაბილიტირებული. დასრულებულია ორი ბაღის მშენებლობა დაბა თრიალეთსა და სოფელ კაბურში, ხოლო სოფ. ახალშენში მიმდინარეობს საბავშვო ბაღის მშენებლობა. სულ მუნიციპალიტეტის ბაღებში 430 აღსაზრდელი იღებს სკოლამდელ განათლებას.

მუნიციპალიტეტში შობადობის მატების შედარებით დადებითი დინამიკაა, რაც ნიშნავს რომ ბავშვების სკოლამდელ დაწესებულებებში ადგილებით უზრუნველყოფის გამოწვევა არსებობს, განსაკუთრებით, სომხურენოვან მოსახლეობაში. აქედან გამომდინარე, სოფლებში დამატებით საჭიროა 5 საბავშვო ბაღის ან ალტერნატიული ცენტრის მშენებლობა/კეთილმოწყობა, რათა უზრუნველყოფილი იყოს ადგილობრივი მოსახლეობისათვის სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობა.

საჯარო სკოლები

წალკის მუნიციპალიტეტში 32 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაა, მათ შორის 28 საშუალო და 4 საბაზისო საჯარო სკოლა. მოსწავლეთა რაოდენობა 2442-ია. აქედან ოთხი სკოლა სრულად რეაბილიტირებულია და მიმდინარეობს 6 სკოლის მშენებლობა/რეკონსტრუქცია/რეაბილიტაციის პროცესი.

პროფესიული განათლება

მუნიციპალიტეტში არ არის უმაღლესი/პროფესიული სასწავლებელი და შესაბამისად, უმაღლესი/პროფესიული განათლების მიღება ხდება ძირითადად თბილისში და ბათუმში. ქ.წალკაში ფუნქციონირებს ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის ფილიალი, სადაც მოსახლეობას აქვს შესაძლებლობა უფასოდ დაეუფლოს სახელმწიფო (ქართულ) ენას.

კულტურა და სპორტი

კულტურა

წალკის მუნიციპალიტეტში კულტურის განვითარების მიზნით მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილია „განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილება“, ასევე ფუნქციონირებს მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული შემდეგი იურიდიული პირები:

- ა(ა)იპ „წალკის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი“;
- ა(ა)იპ „წალკის მუნიციპალიტეტის მთავარი ბიბლიოთეკა“

ა(ა)იპ „წალკის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრში“ ფუნქციონირებს: ქორეოგრაფიული, ფოლკლორული (ხალხური სიმღერების), საესტრადო სიმღერის და ქართული ხალხური საკრავების შემსწავლელი სტუდია/წრეები. ასევე ფუნქციონირებს ცენტრთან არსებობული ფოლკლორული ანსამბლი - „ ქართული ფესვები“ და „თრიალეთი“, საესტრადო ანსამბლი „აფხაზეთი“, ბავშვთა ვოკალური ჯგუფი „მტრედები“; ქორეოგრაფიული ანსამბლი - „თაობა“ და ,, ლუსახბურ“. ასევე სოფელ ნარდევანში ფუნქციონირებს ქართული და სომხური ცეკვის წრე. სულ ცენტრში ირიცხება 451 მოსწავლე.

გამოდინარე იქედან, რომ კულტურის ცენტრი მდებარეობს ქ. წალკაში მოშორებული სოფლების მაცხოვრებელი ბავშვებისათვის ნაკლებად ხელმისაწვდომია ზემოაღნიშნული სახელოვნებო და შემეცნებითი წრეები. ასევე ყოველწლიურად იზრდება კულტურის ცენტრში არსებულ წრეებში მიღების მსურველთა რაოდენობა, თუმცა შეუძლებელია არსებულ მცირე ზომის კულტურის ცენტრში სასურველი რაოდენობის მოსწავლეთა მიღება,

რაც არღვევს ბავშვთა განვითარების უფლებას. ზემოაღნიშნული პრობლემის აღმოსაფხვრელად აუცილებელია ახალი კულტურის სახლის მშენებლობა.

სპორტი

წალკის მუნიციპალიტეტიში სპორტის განვითარებისათვის და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის ხელშეწყობის მიზნით წალკის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაფუძნებულია და მის დაქვემდებარებაშია ა(ა)იპ „წალკის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სასპორტო სკოლა“, სპორტსკოლაში მოქმედებს, შემდეგი სექციები: ფეხბურთი, ძიუდო, შერეული საბრძოლო ხელოვნებები, მკლავჭიდი, ჭადრაკი, მაგიდის ჩოგბურთი, ქართული ჭიდაობის, უშუ სანდას, თავისუფალი ჭიდაობა და ბერძნულ რომაული ჭიდაობა. სამწვრთნელო პროცესში ჩართულნი არიან როგორც ბიჭები, ასევე გოგონები. სპორტულ სკოლას აქვს ფილიალები სოფ. განთიადში, ბეშთაშენი, არწივანში, გუმბათში, ავრანლოში, საყდრიონსა და რეხაში. სხვადასხვა სპორტულ სექციებში სულ ირიცხება 406 სპორტსმენი. სოფ. განთიათსა და არწივანში რეაბილიტირდა სპორტული საჭიდაო დარბაზი.

ამ დროისთვის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოწყობილი და რეაბილიტირებულია სპორტული და კულტურული ინფრასტრუქტურის - 50%. დამატებით საჭიროა სოფლებში 3 მინი სტადიონისა და სპორტული დარბაზების მშენებლობა.

სპორტსმენთა რაოდენობიდან და მოსახლეობის მოთხოვნიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტი საჭიროებს სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება/მოწესრიგებას. განსაკუთრებით ქ. წალკას ესაჭიროება სპორტული კომპექსის მშენებლობა, რომლის არ არსებობა იწვევს შემდეგ პრობლემებს: წალკის მუნიციპალიტეტიდან ინტენსიურად ხდება ახალგაზრდების გადინება; მუნიციპალიტეტში მცხოვრებ სპორტსმენებს არ აქვთ თანამედროვე ინვენტარით აღჭურვილი სივრცე, სადაც შეძლებენ სპორტული ღონისძიებებისათვის მომზადებას; პირთა წრეს, რომლებსაც სამედიცინო თვალსაზრისით ესაჭიროებათ სარეაბილიტაციო პროცედურები, მათ შორის ცურვა, ვერ ახერხებენ აღნიშნული სერვისის მიღებას ადგილობრივ დონეზე და უწევთ სხვა ქალაქებში გამგზავრება, რაც დისკომფორტს უქმნის მათ, რაც დაკავშირებულია ზედმეტ ფინანსურ და მატერიალურ ხარჯებთან. ახალგაზრდებისა და სპორტსმენების გადინება ხელს უშლის მუნიციპალიტეტში ეკონომიკური და ინფრასტრუქტურული პროექტების განვითარებას, მუნიციპალიტეტის სოციალ-ეკონომიკური განვითარებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მიერ განხორციელდეს მასშტაბური პროექტები, რაც ხელს შეუწყობს სამუშაო ადგილების შექმნას, ბიზნესის დაინტერესებას რეგიონით, ტურიზმის განვითარებას.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ცენტრალური ხელისუფლების მხარდაჭერით, ქალაქ წალკაში დაგეგმილია საფეხბურთო სტადიონის მშენებლობა. საჭიროა მრავალფუნქციური კომპლექსური დარბაზის მშენებლობა.

მუნიციპალური სერვისები და მმართველობა

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებია მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო.

მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მოსახლეობას ადგილზე შეუძლიათ მიიღონ მათთვის საჭირო მომსახურება შემდეგ საჯარო დაწესებულებებში:

- იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო და საჯარო რეესტრები, ნოტარიუსი;
- არქივი;
- პრობაციის ეროვნული ბიურო;
- წალკის მაგისტრანტი სასამართლო;
- სახანძრო სამაშველო სამსახური;
- შსს წალკის რაიონული სამმართველო;
- წალკის სასწრაფო დახმარება;
- საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს წალკის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახური;
- სურსათის უვნებლობის სამსახური;
- სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს ქვემო ქართლის სატყეო სამსახურის წალკის სატყეო უბანი;
- სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო წალკის მუნიციპალური განყოფილება:
- წალკის საგანმანათლებლო რესურსცენტრი.

პრობლემების ხის ანალიზი

წალკის მუნიციპალიტეტის განვითარების პროცესში გამოვლენილი გამოწვევების სისტემური გააზრების მიზნით განხორციელდა პრობლემების ხის ანალიზი, რომლის საფუძველზეც განისაზღვრა ძირითადი (ცენტრალური) პრობლემა, მისი გამომწვევი მიზეზები და შესაძლო შედეგები.

ცენტრალური პრობლემა:

წალკის მუნიციპალიტეტში ეკონომიკური აქტივობის დაბალი დონე და ალტერნატიული სეტრორის (სოფლის მეურნეობის) სუსტი განვითარება.

ეკონომიკური მიმართულება:

- ადგილობრივი ბიზნესის განვითარების დაბალი დონე;
- ინვესტიციების ნაკლებობა;
- დასაქმების შესაძლებლობების სიმცირე;
- ტურისტული პოტენციალის არასაკმარისი გამოყენება;
- ტურისტული ინფრასტრუქტურისა და სერვისების განუვითარებლობა (მარკირება, განთავსება, კვება).

ინფრასტრუქტურული მიმართულება:

- ამორტიზებული საგზაო ინფრასტრუქტურა;
- საკანალიზაციო ქსელის არასაკმარისი განვითარება;
- სივრცითი დაგეგმვის დოკუმენტების არარსებობა (განაშენიანებისა და მიწათსარგებლობის გეგმები).
- ბუნებრივი აირის არ არსებობა 22 სოფელში
- 24 სათიანი სასმელი წყლის არ არსებობა გარკვეულ სოფლებში
- სპორტული ინფრასტრუქტურის არასაკმარისი განვითარება და შეზღუდული ხელმისაწვდომობა
- ფიზიკური აქტივობის სერვისებისა და ინფრასტრუქტურის დეფიციტი

სოციალური მიმართულება:

- ჯანდაცვის სერვისების დაბალი ხარისხი;
- სერვისებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა, განსაკუთრებით სოფლებში.

სოფლის მეურნეობა:

- კვალიფიციური კადრების ნაკლებობა;
- ვეტერინარული მომსახურების არარსებობა;
- სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის სიმცირე (ვეტპუნქტები, საწყობები);
- თანამედროვე ტექნოლოგიების დაბალი გამოყენება.
- სარწყავი სისტემის ხელმისაწვდომობის ნაკლებობა

ინსტიტუციური და გარემოსდაცვითი ფაქტორები:

- გარემოს დაცვის მექანიზმების არასაკმარისი განვითარება;
- ბუნებრივი რესურსების მართვის პრობლემები;
- ბუნებრივი კატასტროფების რისკები;
- ადმინისტრაციული და დაგეგმვის შესაძლებლობების გაძლიერების საჭიროება.

პრობლემის შედეგები:

- მოსახლეობის დაბალი შემოსავლები და სოციალური მოწყვლადობა;
- ახალგაზრდებისა და შრომითი რესურსების გადინება;
- ეკონომიკური აქტივობის შემცირება;
- მუნიციპალიტეტის საინვესტიციო მიმზიდველობის დაბალი დონე;
- ცხოვრების ხარისხის გაუარესება;
- ადგილობრივი რესურსებისა და პოტენციალის არასრულად გამოყენება.

პრობლემების ხის ანალიზმა ცხადყო, რომ მუნიციპალიტეტის განვითარების ძირითადი გამოწვევები ურთიერთდაკავშირებულია და საჭიროებს კომპლექსურ, მრავალსექტორულ მიდგომას. აღნიშნული ანალიზი წარმოადგენს საფუძველს სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრისათვის.


მოსახლეობის მასობრივი მიგრაცია.
სამუშაო ადგილების სიმწირის გამო ახალგაზრდები და კვალიფიციური კადრები ტოვებენ მუნიციპალიტეტს
სოციალური დაუცვლობა
დასაქმების ალტერნატიული წყაროების არარსებობა ზრდის სიღარიბეს
სოციალურ სერვისებზე დამოკიდებულების ზრდა
ურბანული დეგრადაცია
მიტოვებული შენობები და მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურა
მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუარესება
წალკის მუნიციპალიტეტში ეკონომიკური აქტივობის დაბალი დონე და ალტერნატიული სეტრორის (სოფლის მეურნეობის) სუსტი განვითარება
ტურიზმის სტაგნაცია
1.განთავსებისა და კვების ობიექტების დეფიციტი
2.სერვისის სფეროს დაბალი კვალიფიკაცია
3.ძეგლების მჭირი პოპულარიზაცია
აგრარული სფერო
1აგრო ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობა
2.სოფლის მეურნეობის სექტორის დაბალი წარმადობა
3.სარწყავი სისტემების გაუმართაობა
4.გადამამუშავებელი ქარხნების და შემნახველი საწყობების მოწყობა
საინვესრიციო გარემო
1. მცირე ბიზნესის დაფინანსების ნაკლებობა
2.ბიზნეს ინფრასტრუქტურის არარსებობა
პროფესიული განათლების დაბალი ხელმისაწვდომობა

ხედვა, მიზნები და ამოცანები

წალკა არის თანამედროვე ეკოლოგიურად უსაფრთხო, სოციალური კეთილდღეობით უზრუნველყოფილი, ეკონომიკურად მდგრადი, კულტურულად და ეთნიკურად მრავალფეროვანი მუნიციპალიტეტი. რეგიონი, სადაც აგროსექტორი, ტურიზმი და თანამედროვე ინფრასტრუქტურა ქმნის მაღალი ცხოვრების ხარისხს თითოეული მოქალაქისთვის, მათ შორის, ეთნიკური უმცირესობების ინტეგრირებით და ქვეყნის ეკონომიკურ-სოციალურ პროცესებში ჩართვით.

პრიორიტეტები, მიზნები და ამოცანები

პრიორიტეტი 1. : უსაფრთხო და თანამედროვე ინფრასტრუქტურის შექმნა

მიზანი 1.1. საბაზისო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ხელმისაწვდომობის გაზრდა

ამოცანა 1.1.1 - ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მოწყობა/რეაბილიტაცია

ამოცანა 1.1.2 - წყალმომარაგებისა და წყალარინების ქსელის მოდერნიზება

მიზანი 1.2. საგანმანათლებლო, კულტურული, სპორტული და ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება

ამოცანა 1.2.1 - საზოგადოებრივი და რეკრეაციული სივრცეების მოწყობა

ამოცანა 1.2.2 - სკოლებისა და საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის მშენებლობა/რეაბილიტაცია

ამოცანა 1.2.3 - კულტურული და სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება

ამოცანა 1.2.4 - მუნიციპალიტეტის ურბანული იერსახის გაუმჯობესება

ამოცანა 1.2.5 - ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება

მიზანი 1.3 - ინფრასტრუქტურის მდგრადი განვითარება და გარემოს დაცვა

ამოცანა 1.3.1 - გარემოსდაცვითი ინფრასტრუქტურული სტანდარტების დანერგვა

ამოცანა 1.3.2 - გარემოს დაბინძურების შემცირება და ნარჩენების მართვა

პრიორიტეტი 2 - მდგრადი, მრავალმხრივი ადგილობრივი ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარება, მეწარმეობის, აგროინოვაციების და ტურიზმის ხელშეწყობით.

მიზანი 2.1 - ადგილობრივი მეწარმეობის გაძლიერება და ბიზნესგარემოს განვითარება

ამოცანა 2.1.1 - მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდაჭერის პროგრამების დანერგვა

ამოცანა 2.1.2 - ბიზნესგარემოს გაუმჯობესება

ამოცანა 2.1.3 - ინოვაციური ტურისტული პროდუქტებისა და სერვისების განვითარების ხელშეწყობა

პრიორიტეტი 3 - ხარისხიანი, ხელმისაწვდომი და ადამიანზე ორიენტირებული ჯანდაცვა და სოციალური დაცვის სისტემის განვითარება.

მიზანი 3.1 - მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება

ამოცანა 3.1.1 - სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მხარდაჭერა

პრიორიტეტი 4 - განათლების ხელმისაწვდომობის და ხარისხის გაუმჯობესება, მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებადი საგანმანათლებლო და არაფორმალური განათლების მხარდაჭერის გზით

მიზანი 4.1 - ხარისხიანი და ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო სერვისების უზრუნველყოფა

ამოცანა 4.1.1 - ხარისხიანი სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და დაწესებულებების ეფექტიანი კოორდინაცია

პრიორიტეტი 5 - მდგრადი კულტურული, სპორტული, ახალგაზრდული და ტურისტული ეკოსისტემის ფორმირება

მიზანი 5.1 - ინკლუზიური კულტურული გარემოს განვითარება

ამოცანა 5.1.1 - მრავალფეროვნებისა და ინკლუზიის პრინციპებზე დაფუძნებული კულტურული ღონისძიებების ორგანიზება და ხელმისაწვდომობის ზრდა

ამოცანა 5.1.2 - მუნიციპალიტეტში კულტურის სფეროში მოქმედი ა(ა)იპ-ებისა და კულტურული დაწესებულებების მხარდაჭერა

მიზანი 5.2 - სპორტული აქტივობების ხელმისაწვდომობისნდა ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის ხელშეწყობა

ამოცანა 5.2.1 - საბაზისო და არაფორმალური სპორტული პროგრამების განვითარება

ამოცანა 5.2.2 - სპორტის სფეროში ადგილობრივი პარტნიორობისა და კოლაბორაციის გაძლიერება

მიზანი 5.3 - ახალგაზრდების მხარდაჭერა და განვითარება

ამოცანა 5.3.1. - ახალგაზრდული სივრცეების, ბიბლიოთეკებისა და ტექნო-ჰაბების განვითარება

ამოცანა 5.3.2 - თემატური კონკურსებისა და პროექტების ორგანიზება

ხედვა		37 წელს წალკის მუნიციპალიტეტი არის მდგრადი, ინკლუზიური და მეწარმეობაზე ორიენტირებული მუნიციპალიტეტი, სადაც ჰარმონიულად წყმის აგროინოვაციებსა და თანამედროვე ტექნოლოგიურ სერვისებს. განვითარებული ინფრასტრუქტურა და ეკოლოგიურად სუფთა გარემო ქმნის ურისტულად მიმზიდველ და ეკონომიკურად ძლიერ სივრცეს, სადაც მოსახლეობის კეთილდღეობა მუდმივად იზრდება.				
პრიორიტეტი 1.		საბაზისო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება				
მიზანი 1.1		საბაზისო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ხელმისაწვდომობის გაზრდა			მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDGs) კავშირი:	1, 8, 9, 10
			საბაზისო	შუალედური სამიზნე	საბოლოო სამიზნე	დადასტურების წყარო
		წელი	2025	2031	2037	
		მაჩვენებელი	45%	60%	70%	
ამოცანა 1.1.1		ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მოწყობა/რეაბილიტაცია				
			საბაზისო	შუალედური სამიზნე	შუალედური სამიზნე	საბოლოო სამიზნე	დადასტურების წყარო
		წელი	2025	2029	2033	2037	
		მაჩვენებელი	45%	60%	70%	90%	

						განვითარების მიზნებთან (SDGs) კავშირი:	
გავლენის ინდიკატორი 1.1:			**საბაზისო**	**შუალედური სამიზნე**		**საბოლოო სამიზნე**	**დადასტურების წყარო**
		წელი	2025	2031		2037	
		მაჩვენებელი	50%	60%		75%	
ამოცანა 1.2.1		**საზოგადოებრივი და რეკრეაციული სივრცეების მოწყობა**					
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.2.1	მოწყობილი ან რეაბილიტირებული საზოგადოებრივი და რეკრეაციული სივრცეების რაოდენობა (%)		**საბაზისო**	**შუალედური სამიზნე**	**შუალედური სამიზნე**	**საბოლოო სამიზნე**	**დადასტურების წყარო**
		წელი	2025	2029	2033	2037	მუნიციპალიტეტის ყოველწლიური ანგარიში
		მაჩვენებელი	35%	50%	60%	80%	
რისკი	არ შემდგარი ტენდერი და ფინანსური რესურსის ნაკლებობა						
ამოცანა 1.2.2		**სკოლებისა და საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის მშენებლობა/რეაბილიტაცია**					
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.2.2	რეაბილიტირებული დაწესებულებების პროცენტული წილი		**საბაზისო**	**შუალედური სამიზნე**	**შუალედური სამიზნე**	**საბოლოო სამიზნე**	**დადასტურების წყარო**
		წელი	2025	2029	2033	2037	მუნიციპალიტეტის ყოველწლიური ანგარიში
		მაჩვენებელი	30%	45%	60%	70%	
რისკი	არ შემდგარი ტენდერი და ფინანსური რესურსის ნაკლებობა						
ამოცანა 1.2.3		**კულტურული და სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება**					
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.2.3	მოწესრიგებული ინფრასტრუქტურის რაოდენობა (%)		**საბაზისო**	**შუალედური სამიზნე**	**შუალედური სამიზნე**	**საბოლოო სამიზნე**	**დადასტურების წყარო**
		წელი	2025	2029	2033	2037	მუნიციპალიტეტის ყოველწლიური ანგარიში
		მაჩვენებელი	10%	35%	45%	60%	
რისკი	არ შემდგარი ტენდერი და ფინანსური რესურსის ნაკლებობა						
ამოცანა 1.2.4		**მუნიციპალიტეტის ურბანული იერსახის გაუმჯობესება**					
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.2.4	ურბანული განახლების პროექტების რაოდენობა		**საბაზისო**	**შუალედური სამიზნე**	**შუალედური სამიზნე**	**საბოლოო სამიზნე**	**დადასტურების წყარო**
		წელი	2025	2029	2033	2037	მუნიციპალიტეტის ყოველწლიური ანგარიში
		მაჩვენებელი	0	2	2	2	
რისკი	არ შემდგარი ტენდერი და ფინანსური რესურსის ნაკლებობა						
ამოცანა 1.2.5		**ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება**					
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.2.5	ტურისტული ობიექტებისა და მომსახურების რაოდენობა		**საბაზისო**	**შუალედური სამიზნე**	**შუალედური სამიზნე**	**საბოლოო სამიზნე**	**დადასტურების წყარო**
		წელი	2025	2029	2033	2037	მუნიციპალიტეტის ყოველწლიური ანგარიში
		მაჩვენებელი	40%	45%	60%	70%	
რისკი	არასაკმარისი ფინანსური რესურსი და სატენდერო პროცესების შეფერხება						

მიზანი 1.3		**ინფრასტრუქტურის მდგრადი განვითარება და გარემოს დაცვა**				მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDGs) კავშირი:	**1, 8, 9, 10**
გავლენის ინდიკატორი 1.3:	ეკოლოგიურად სუფთა და უსაფრთხო ინფრასტრუქტურული ობიექტების პროცენტული წილი		**საბაზისო**	**შუალედური სამიზნე**		**საბოლოო სამიზნე**	**დადასტურების წყარო**
		წელი	2025	2031		2037	
		მაჩვენებელი	10%	20%		30%	
ამოცანა 1.3.1		**გარემოსდაცვითი ინფრასტრუქტურული სტანდარტების დანერგვა**					
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.3.1	მოწყობილი ან რეაბილიტირებული საზოგადოებრივი და რეკრეაციული სივრცეების რაოდენობა (%)		**საბაზისო**	**შუალედური სამიზნე**	**შუალედური სამიზნე**	**საბოლოო სამიზნე**	**დადასტურების წყარო**
		წელი	2025	2029	2033	2037	მუნიციპალიტეტის ყოველწლიური ანგარიში
		მაჩვენებელი	15%	25%	35%	40%	
რისკი	ფინანსური რესურსების შეზღუდულობა ენერგოეფექტურ პროექტებში და კერძო სექტორისა და მოსახლეობის დაბალი დაინტერესება						
ამოცანა 1.3.2		**ბუნებრივი რესურსების რაციონალური მართვა**					
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.2.2	გაზიფიცირებული სოფლებისა და ბუნებრივი აირის ქსელზე მიერთებული ოჯახების რაოდენობის ზრდა, რის შედეგადაც შემცირებულია ტყის რესურსების მოხმარება.		**საბაზისო**	**შუალედური სამიზნე**	**შუალედური სამიზნე**	**საბოლოო სამიზნე**	**დადასტურების წყარო**
		წელი	2025	2029	2033	2037	მუნიციპალიტეტის ყოველწლიური ანგარიში
		მაჩვენებელი	5	7	10	20	
რისკი	ინფრასტრუქტურის მოწყობის ტექნიკური სირთულეები						
ამოცანა 1.3.2		**გარემოს დაბინძურების შემცირება და ნარჩენების მართვა**					
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.2.3	გარემოს დაბინძურების შემცირება და ნარჩენების მართვა		**საბაზისო**	**შუალედური სამიზნე**	**შუალედური სამიზნე**	**საბოლოო სამიზნე**	**დადასტურების წყარო**
		წელი	2025	2029	2033	2037	
			საინფორმაციო აქტივობები არ არის სისტემური	ჩატარებულია ნარჩენების სრული მუნიციპალური აუდიტი	ბიონარჩენების გადამუშავება შეადგენს ≥150 ტონა/წელიწადში	ბიონარჩენების გადამუშავება შეადგენს ≥300 ტონა/წელიწადში	მუნიციპალიტეტის ყოველწლიური ანგარიში
			არალეგალური ნაგავსაყრელები ფიქსირდება"	საინფორმაციო კამპანიებით მოცულია მოსახლეობის ≥40%	მოსახლეობის სეპარაციაში ჩართულობა აღწევს ≥60%-ს	პოლიგონზე განთავსებული ნარჩენების მოცულობა შემცირებულია ≥40%-ით	

				ნარჩენების შეგროვების მარშრუტების ოპტიმიზაცია დაწყებულია	ნარჩენების შეგროვების მარშრუტები 100%-ით ოპტიმიზირებულია	მოსახლეობის ჩართულობა სეპარაციაში აღწევს ≥80%-ს	
				არალეგალური ნაგავსაყრელების რაოდენობა შემცირებულია ≥30%-ით"	საწვავის ხარჯი შემცირებულია ≥15%-ით	არალეგალური ნაგავსაყრელები სრულად ლიკვიდირებულია	
					არალეგალური ნაგავსაყრელები შემცირებულია ≥70%-ით"	გარემოს დაბინძურების მაჩვენებლები (ვიზუალური, სუნი, ნარჩენები) შემცირებულია სტაბილურად და სისტემურად"	
რისკი	მოსახლეობის დაბალი ჩართულობა ნარჩენების სეპარაციაში,ტექნიკური ინფრასტრუქტურის არასათანადო ფუნქციონირება						
ამოცანა 1.2.5		**მიუსაფარი და ქუჩის ძაღლების პოპულაციის ჰუმანური მართვა**					
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.2.5			**საბაზისო**	**შუალედური სამიზნე**	**შუალედური სამიზნე**	**საბოლოო სამიზნე**	**დადასტურების წყარო**
		წელი	2025	2029	2033	2037	
			"ვაქცინირებული ცხოველების რაოდენობა – ≥100 ცხოველი/წელი	"შექმნილი პლატფორმა – 1 სრულფუნქციური ონლაინ კატალოგი	"შექმნილი პლატფორმა – 1 სრულფუნქციური ონლაინ კატალოგი	"ჩატარებული საინფორმაციო აქტივობების რაოდენობა – ≥10 კამპანია/წელიწადში	
			სტერილიზებული ცხოველების რაოდენობა – ≥120 ცხოველი/წელი	რეგისტრირებული ცხოველების რაოდენობა – ≥150 ჩანაწერი პირველ წელს	რეგისტრირებული ცხოველების რაოდენობა – ≥150 ჩანაწერი პირველ წელს	ჩართული მოსახლეობა – ≥2,000 მოქალაქე	
		მაჩვენებელი					მუნიციპალიტეტის ყოველწლიური ანგარიში
			ცოფის შემთხვევების შემცირება – 100% პრევენცია (0 შემთხვევა)	განახლებული მონაცემების სიხშირე – კვირაში 1-ჯერ	განახლებული მონაცემების სიხშირე – კვირაში 1-ჯერ	ცნობიერების დონის ზრდა – ≥30% (სოც. კვლევით)	
			მიუსაფარი ცხოველების პოპულაციის შემცირება – ≥20% 3 წელში	კატალოგში არსებული მონაცემების სიზუსტე – ≥95%	კატალოგში არსებული მონაცემების სიზუსტე – ≥95%	ვიდეო/მედია მასალის საერთო დათვალიერებები – ≥50,000	

			სტერილიზაციის/ვაქცინაციის დაფარვის წილი – ≥70% მთლიან პოპულაციაზე"	პლატფორმის მომხმარებელთა რაოდენობა – ≥500 მოქალაქე/წელი"	პლატფორმის მომხმარებელთა რაოდენობა – ≥500 მოქალაქე/წელი"	გაზრდილი შეტყობინებები/ზარები მიუსაფარი ცხოველების შესახებ – ≥20% ზრდა"	
რისკი	მოსახლეობის ნეგატიური დამოკიდებულება სტერილიზაციის პროგრამის მიმართ , მიუსაფარი ცხოველების ზუსტი რაოდენობის არარსებობა, ფინანსური რესურსების ხანგრძლივი უზრუნველყოფის სირთულე						
პრიორიტეტი 2	**მდგრადი, მრავალმხრივი ადგილობრივი ეკონომიკის განვითარება, მეწარმეობის, აგროინოვაციების და ტურიზმის ხელშეწყობით.**						
მიზანი 2.1		**ადგილობრივი მეწარმეობის გაძლიერება და ბიზნესგარემოს განვითარება**				მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDGs) კავშირი:	**1, 8, 9, 10**
გავლენის ინდიკატორი 2.1:	მუნიციპალიტეტში ბიზნეს სექტორის ბრუნვა		**საბაზისო**	**შუალედური სამიზნე**		**საბოლოო სამიზნე**	**დადასტურების წყარო**
		წელი	2025	2031		2037	
		მაჩვენებელი	გაანგარიშდება საქსტატის განახლებული მონაცემების შესაბამისად	ზრდა 10%		ზრდა 10%	საქსტატის მონაცემები
ამოცანა 2.1.1		**მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდაჭერის პროგრამების დანერგვა**					
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 2.1.1	ჩატარებული ტრენინგების, მხარდაჭერილი მცირე და საშუალო ბიზნესი		**საბაზისო**	**შუალედური სამიზნე**	**შუალედური სამიზნე**	**საბოლოო სამიზნე**	**დადასტურების წყარო**
		წელი	2025	2029	2033	2037	მუნიციპალიტეტის ყოველწლიური ანგარიში
		მაჩვენებელი		ზრდა 5%	ზრდა 10%	ზრდა 15%	
რისკი	კერძო სექტორის ნაკლები აქტიურობა,კვალიფიციური მუშახელის დეფიციტი, მიგრაცია						
ამოცანა 2.1.2		**ბიზნესგარემოს გაუმჯობესება**					
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 2.1.1	მოზიდული გრანტებისა და ინვესტიციების მოცულობა		**საბაზისო**	**შუალედური სამიზნე**	**შუალედური სამიზნე**	**საბოლოო სამიზნე**	**დადასტურების წყარო**
		წელი	2025	2029	2033	2037	მუნიციპალიტეტის ყოველწლიური ანგარიში
		მაჩვენებელი		ზრდა 5%	ზრდა 10%	ზრდა 15%	
რისკი	საინვესტიციო პროცედურების (ნებართვები, დოკუმენტაცია) სირთულე და ხანგრძლივობა, რაც აფერხებს ინვესტორის სწრაფ შესვლას.						
ამოცანა 2.1.3		**ინოვაციური ტურისტული პროდუქტებისა და სერვისების განვითარების ხელშეწყობა**					
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.2.3	ჩატარებული ტრენინგების და მათში მონაწილეთა რაოდენობა		**საბაზისო**	**შუალედური სამიზნე**	**შუალედური სამიზნე**	**საბოლოო სამიზნე**	**დადასტურების წყარო**
		წელი	2025	2029	2033	2037	მუნიციპალიტეტის ყოველწლიური ანგარიში
		მაჩვენებელი		ზრდა 5%	ზრდა 10%	ზრდა 15%	
რისკი	ადგილობრი მეწარმეების ნაკლები აქტიურობა						

ამოცანა 2.1.4	**მუნიციპალურ დონეზე ინოვაციური ბიზნეს-იდეების დაფინანსების ხელშემწყობი პროგრამების არსებობა, ადგილობრივი მეწარმეების მხარდაჭერა, ქალი მეწარმეების წახალისება მათთვის საჭირო აქტივობების შეთავაზებით**						
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 2.1.3	ბიზნეს სუბიექტების რაოდენობა		**საბაზისო**	**შუალედური სამიზნე**	**შუალედური სამიზნე**	**საბოლოო სამიზნე**	**დადასტურების წყარო**
		წელი	2025	2029	2033	2037	მუნიციპალიტეტის ყოველწლიური ანგარიში
		მაჩვენებელი		ზრდა 5%	ზრდა 10%	ზრდა 15%	
რისკი	ადგილობრი მეწარმეების ნაკლები აქტიურობა						
ამოცანა 2.1.5	**ინოვაციური ტურისტული პროდუქტებისა და სერვისების განვითარების ხელშეწყობა**						
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 2.1.5			**საბაზისო**	**შუალედური სამიზნე**	**შუალედური სამიზნე**	**საბოლოო სამიზნე**	**დადასტურების წყარო**
		წელი	2025	2029	2033	2037	მუნიციპალიტეტის ყოველწლიური ანგარიში
		მაჩვენებელი		ზრდა 6%	ზრდა 13%	ზრდა 26%	
რისკი	მოსახლეობის ნეგატიური დამოკიდებულება სტერილიზაციის პროგრამის მიმართ , მიუსაფარი ცხოველების ზუსტი რაოდენობის არარსებობა, ფინანსური რესურსების ხანგრძლივი უზრუნველყოფის სირთულე						
პრიორიტეტი 3	**ხარისხიანი, ხელმისაწვდომი და ადამიანზე ორიენტირებული ჯანდაცვა და სოციალური დაცვის სისტემის განვითარება.**						
მიზანი 3.1	**მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება**				მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDGs) კავშირი:		**1, 8, 9, 10**
გავლენის ინდიკატორი 3.1:			**საბაზისო**	**შუალედური სამიზნე**		**საბოლოო სამიზნე**	**დადასტურების წყარო**
	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის რაოდენობა	**წელი**	2025	2031		2037	
		მაჩვენებელი	გაანგარიშდება საქსტატის განახლებული მონაცემების შესაბამისად	ზრდა 15%		ზრდა 20%	საქსტატის მონაცემები
ამოცანა 3.1.1	**სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მხარდაჭერა**						
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 2.1.5			**საბაზისო**	**შუალედური სამიზნე**	**შუალედური სამიზნე**	**საბოლოო სამიზნე**	**დადასტურების წყარო**
	სოციალურ სერვისებზე ხელმისაწვდომობის დონე	წელი	2025	2029	2033	2037	მუნიციპალიტეტის ყოველწლიური ანგარიში
		მაჩვენებელი		ზრდა 5%	ზრდა 10%	ზრდა 15%	
რისკი	ბენეფიციართა დამოკიდებულების გაღრმავება სოციალური დახმარების მიღებაზე, დამოუკიდებელი უნარების განვითარების ნაცვლად						
პრიორიტეტი 4.	**განათლების ხელმისაწვდომობის, ხარისხისა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებადი საგანმანათლებლო და არაფორმალური მომსახურებების მხარდაჭერის გზით**						

მიზანი 4.1		**ხარისხიანი და ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო სერვისების უზრუნველყოფა**			მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDGs) კავშირი:	**4,5**
გავლენის ინდიკატორი 4.1:	განათლების სერვისებით მოსარგებლე ბავშვებისა და ახალგაზრდების წილი შესაბამისი ასაკობრივი ჯგუფის საერთო რაოდენობაში მუნიციპალიტეტში (%)		**საბაზისო**	**შუალედური სამიზნე**	**საბოლოო სამიზნე**	**დადასტურების წყარო**
		წელი	2025	2031	2037	
		მაჩვენებელი	გაანგარიშდება საქსტატის განახლებული მონაცემების შესაბამისად	ზრდა 10%	15%	საქსტატის მონაცემები
ამოცანა 4.1.1		**ხარისხიანი სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და დაწესებულებების ეფექტიანი კოორდინაცია**				
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 4.1.1	სკოლამდელ დაწესებულებებში რეგისტრირებული ბავშვების რაოდენობის პროცენტი იმ ბავშვების მთლიანი რაოდენობაზე, რომლებიც 2–6 წლის ასაკში სკოლამდელ განათლებას საჭიროებენ.		**საბაზისო**	**შუალედური სამიზნე**	**შუალედური სამიზნე**	**საბოლოო სამიზნე**	**დადასტურების წყარო**
		წელი	2025	2029	2033	2037	
		მაჩვენებელი	35%	50%	60%	80%	გაერთიანების ანგარიში
რისკი	ფინანსური რესურსების ნაკლებობა და ავტორიზაციის პროცესის სირთულე					
ამოცანა 4.1.2		**საჯარო სკოლებში საგანმანათლებლო პროცესების მხარდაჭერა და არაფორმალური განათლების ხელშეწყობა, მუნიციპალიტეტის დონეზე კოორდინაციისა და პროგრამული ინიციატივების განხორციელების გზით**				
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 2.1.1	პროექტებში/პროგრამებში ჩართულ სკოლათა რაოდენობა		**საბაზისო**	**შუალედური სამიზნე**	**შუალედური სამიზნე**	**საბოლოო სამიზნე**	**დადასტურების წყარო**
		წელი	2025	2029	2033	2037	მუნიციპალიტეტის წლიური ანგარიში
		მაჩვენებელი	25%	30%	35%	60%	
რისკი	მონაწილეთა დაბალი ჩართულობა და ინტერესი საგანმანათლებლო/არაფორმალური პროგრამების მიმართ, რაც შესაძლოა ზღუდავდეს პროგრამების ეფექტურობას					
		მაჩვენებელი	გაანგარიშდება საქსტატის განახლებული მონაცემების შესაბამისად	5%	10%	
პრიორიტეტი 5		**მდგრადი კულტურული, სპორტული, ახალგაზრდული და ტურისტული ეკოსისტემის ფორმირება**				
მიზანი 5.1		**ინკლუზიური კულტურული გარემოს განვითარება**				

ამოცანა 5.1.1							
			საბაზისო	შუალედური სამიზნე	შუალედური სამიზნე	საბოლოო სამიზნე	დადასტურების წყარო
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 5.1.1	კულტურულ ღონისძიებებში მოსახლეობის ჩართულობის მაჩვენებელი (%)						

	მონაწილე მოსახლეობის პროცენტი	მაჩვენებელი	35%	45%	55%	60%	
რისკი	სპორტული აქტივობებში ჩართვის დაბალი ინტერესი, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს ინფრასტრუქტურის არასაკმარისობით						
ამოცანა 5.2.2	**სპორტის სფეროში ადგილობრივი პარტნიორობისა და კოლაბორაციის გაძლიერება**						
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 5.2.2	მუნიციპალიტეტში მოქმედ სპორტულ სუბიექტების მიერ განხორციელებულ აქტივობებში ჩართულ ახალგაზრდათა რაოდენობა		**საბაზისო**	**შუალედური სამიზნე**	**შუალედური სამიზნე**	**საბოლოო სამიზნე**	**დადასტურების წყარო**
		წელი	2025	2029	2033	2037	მუნიციპალიტეტის ყოველწლიური ანგარიში
		მაჩვენებელი	30%	35%	45%	60%	
რისკი	შეზღუდული ფინანსური რესურსი						
მიზანი 5.3	**ახალგაზრდების მხარდაჭერა და განვითარება**						
ამოცანა 5.3.1	**ახალგაზრდული სივრცეების, ბიბლიოთეკებისა და ტექნო-ჰაბების განვითარება**						
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 5.3.1	მოწყობილი ან რეაბილიტირებული ახალგაზრდული სივრცეების რაოდენობა		**საბაზისო**	**შუალედური სამიზნე**	**შუალედური სამიზნე**	**საბოლოო სამიზნე**	**დადასტურების წყარო**
		წელი	2025	2029	2033	2037	მუნიციპალიტეტის ყოველწლიური ანგარიში
		მაჩვენებელი	5	8	10	12	
რისკი	ფინანსური რესურსის ნაკლებობა						

განხორციელება, მონიტორინგი და შეფასება

წალკის მუნიციპალიტეტის განვითარების სტრატეგიის განხორციელება სისტემური, მრავალდონიანი და გამჭვირვალე პროცესია. ის ეფუძნება ადგილობრივი ხელისუფლების ინსტიტუციურ შესაძლებლობებს, სხვადასხვა სახელმწიფო და საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობას, მოსახლეობის ჩართულობასა და ითვალისწინებს ანგარიშვალდებულების მაღალ სტანდარტს.

სტრატეგიის და შესაბამისი წლების სამოქმედო გეგმის განხორციელების ტექნიკური კოორდინაციას უზრუნველყოფს წალკის მუნიციპალიტეტის მერია, საკრებულოსთან კოორდინაციით. სამოქმედო გეგმის ცალკეული აქტივობების შესრულებისთვის პასუხისმგებელ უწყებად განსაზღვრულია როგორც მუნიციპალიტეტის მერია, ასევე შესაბამისი სამინისტროები და სხვა სახელმწიფო უწყებები.

მერია წარმოადგენს სტრატეგიის განხორციელების ოპერაციულ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს დოკუმენტის მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად სამოქმედო გეგმის შესრულებას, შიდა კოორდინაციასა და სახელმწიფო უწყებებთან ურთიერთობას. სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმების შემუშავებისა და განხორციელების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის შეკრება განსაზღვრულია წელიწადში ორჯერ, ხოლო ტექნიკური ჯგუფისთვის - კვარტალურად. სტრატეგია არ მოიაზრება სტატიკურ დოკუმენტად, პოლიტიკის ციკლის განხორციელების შესაბამისად, მასში შესაძლებელია ცვლილების ასახვა ახალ გამოწვევებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით. სწორედ ამიტომ სამუშაო ჯგუფის კოორდინაციით წლიურ ანგარიშებსა და შუალედური შეფასების ანგარიშში მიღწეული შედეგისა და გამოვლენილი გამოწვევების შესაბამისად, შესაძლებელია შევიდეს ცვლილებები სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში. სამუშაო ჯგუფის ინიციატივით მოხდება ასევე მომდევნო სამოქმედო გეგმების მომზადება. სტრატეგიის განხორციელების პროცესში ყურადღება დაეთმობა ფართო საზოგადოების ჩართულობას, განსაკუთრებით კი ქალთა, ახალგაზრდებისა და სხვა მოწყვლადი ჯგუფების ჩართულობის მხარდაჭერას.

სტრატეგიის მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად, შესაბამისი წლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში განსაზღვრული აქტივობების დაფინანსება 2026-2037 გათვალისწინებული იქნება სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტებიდან, აგრეთვე, შესაძლებელია დამატებითი რესურსების მოძიება განვითარების პარტნიორების მხარდაჭერით. წალკის მუნიციპალიტეტის განვითარების სტრატეგიის სამოქმედო გეგმის განხორციელების საპროგნოზო ბიუჯეტია [ოდენობა] ლარი. სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების ნაწილი, რომელთა დაფინანსებაც მიმდინარე ეტაპზე ვერ იქნა უზრუნველყოფილი საბიუჯეტო რესურსების შეზღუდულობის გამო, განხორციელდება ეტაპობრივად, მომდევნო სამოქმედო გეგმების ფარგლებში, შესაბამისი ფინანსური რესურსების მობილიზების შესაბამისად. აღნიშნული მიმართულებით, მუნიციპალიტეტი აქტიურად გააგრძელებს თანამშრომლობას სახელმწიფო უწყებებთან, საერთაშორისო და დონორ

ორგანიზაციებთან და განვითარების პარტნიორებთან დამატებითი ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერის მოზიდვის მიზნით.

წალკის მუნიციპალიტეტის განვითარების სტრატეგიის მონიტორინგისა და შეფასების სისტემა შემუშავებულია საქართველოს მთავრობის 2022 წლის 15 თებერვლის N264 დადგენილება „მუნიციპალიტეტის განვითარების დაგეგმვის სახელმძღვანელოს დამტკიცების შესახებ " შესაბამისად. მონიტორინგის სისტემა ემსახურება სტრატეგიული ხედვის მიღწევის პროგრესის სისტემატურ შეფასებასა და ხარვეზების გამოვლენას. მონიტორინგის ფარგლებში მოხდება პოლიტიკის განხორციელების პროცესში არსებული ხარვეზების დროული გამოვლენა და აქტივობებში ცვლილებების შეტანა და რესურსების გადანაწილება, დამატებითი სახსრების მოზიდვის ან შემცირების მიმართულებით. სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის შექმნილი სამუშაო ჯგუფი კოორდინაციას გაუწევს აქტივობების განხორციელებაზე პასუხისმგებელ უწყებებთან ერთად მონიტორინგისთვის საჭირო მონაცემების შეგროვებას, ანალიზს და მონიტორინგის ანგარიშ(ებ)ის შესაბამისი ფორმით გამოქვეყნებას განსაზღვრული პერიოდულობით. კონსოლიდირებული სტატუს ანგარიშის საფუძველზე სამუშაო ჯგუფი მოამზადებს ექვსთვიან პროგრეს/ანგარიშებს და წლიურ ანგარიშებს. პროგრეს/ანგარიშები მოიცავს მონაცემებს 1-ლი იანვრიდან 30 ივნისის ჩათვლით პერიოდისთვის, ხოლო წლიური ანგარიშები – პირველი იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით. პასუხისმგებელი უწყებები საანგარიშო პერიოდში განხორციელებული აქტივობების შესახებ მონაცემებს სტატუს ანგარიშების ფორმით სამუშაო ჯგუფს გაუგზავნიან არაუგვიანეს მიმდინარე წლის 15 აგვისტოსი პროგრეს ანგარიშის შემთხვევაში და 15 მარტისა წლიური ანგარიშის შემთხვევაში. მონიტორინგის პროცესის პარალელურად, სტრატეგიის შუალედური შეფასება ჩატარდება 2-ჯერ - 2029 და 2033 წელს. 2037 წელს კი სამუშაო ჯგუფის კოორდინაციით განხორციელდება დოკუმენტის საბოლოო შეფასება შერეული შეფასების ფორმით. შეფასებაში ჩართული იქნებიან როგორც მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურები, ისე გარე დამოუკიდებელი შემფასებლები.

სტრატეგიის განხორციელების მონიტორინგის და შეფასების შედეგების შესახებ დაინტერესებული მხარეებისა და ფართო აუდიტორიის ინფორმირების მიზნით, მონიტორინგის წლიური ანგარიშები და შუალედური და საბოლოო შეფასების ანგარიშები კომენტარებისთვის გამოქვეყნდება მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე. ვებგვერდზე ასევე ხელმისაწვდომი იქნება სტრატეგიასთან დაკავშირებით პასუხისმგებელი პირის საკონტაქტო ინფორმაცია ფართო საზოგადოებისთვის. განახლებული ინფორმაცია ასევე გამოქვეყნდება სოციალურ მედიაში, ოფიციალური ანგარიშების საშუალებით.

სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის და შეფასების კალენდარი			
ანგარიშის ტიპი	**ანგარიშების მომზადების თარიღი/პერიოდულობა**	**საანგარიშო პერიოდი**	**გაზიარების/საჯარო გამოქვეყნების ვადა**

მონიტორინგი			
პროგრეს-ანგარიში (აქტივობების დონე)	საანგარიშო პერიოდის დასრულების შემდეგ (ივლისი-აგვისტო)	6-თვიანი პერიოდი (იანვარი-ივნისი)	მოცემული წლის 31 აგვისტო
წლიური ანგარიში (აქტივობების და ამოცანების დონე)	საანგარიშო პერიოდის დასრულების შემდეგ (იანვარი-მარტი)	1-წლიანი პერიოდი (იანვარი-დეკემბერი)	მოცემული წლის 31 მარტი
შეფასება			
შუალედური შეფასება	2030 წელი	4-წლიანი პერიოდი (2026 წლის იანვრიდან 2029 წლის დეკემბრის ჩათვლით)	2030 წლის 30 ივნისი
შუალედური შეფასება	2034 წელი	4-წლიანი პერიოდი (2030 წლის იანვრიდან 2033 წლის დეკემბრის ჩათვლით)	2034 წლის 30 ივნისი
საბოლოო შეფასება	2038 წელი	12-წლიანი პერიოდი (2026 წლის იანვრიდან 2037 წლის დეკემბრის ჩათვლით)	2038 წლის 30 ივნისი